MES 7 22 0000075510

27/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 12.01.2022-13.01.2022
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 01:15სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I, II, III, IV, VI საკითხი);
სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი (V საკითხი);
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - „CNFA საქართველოს“ გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკა ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ანი ლელაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
6	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

10	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	**I, II**
2	ბორის ლეჟავა	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	**I, II**
3	შოთა ნიჟარაძე	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	**I, II**
4	გიორგი დობორჯგინიძე	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	„ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროგრამის თანახელმძღვანელი	**I, II**
5	ფრანკ გილერტი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	„ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროგრამის ხელმძღვანელი (WILDAU)	**I, II**
6	ანდრეას დუდლიკი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	პროექტის მენეჯერი (WILDAU)	**I, II**
7	ჰერბერტ სონტაგი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	პროფესორი (WILDAU)	**I, II**
8	გიორგი მახარაშვილი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი	**I, II**
9	თენგიზ ვერულავა	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II**
10	ნინო ჩალაბაშვილი	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი	**I, II**
11	სალომე პირველი	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი, პროფესორი	**III**
12	ანჟელა აბულაძე	**შპს თბილისის თავისუფალი აკადემია**	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
13	მარიამ რამინაშვილი	**შპს თბილისის თავისუფალი აკადემია**	პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
14	მურმან ციქუბაძე	**შპს თბილისის თავისუფალი აკადემია**	ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
15	ვლადიმერ ღლონტი			**IV**

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
16	მარინე გიორგაძე	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	**IV**
17	ივდით დიასამიძე	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
18	ლალი ზაქარაძე	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
19	მიხეილ მახარაძე	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
20	ვარდო ბერიძე	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
21	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**V**
22	ივანე ჯაგოდნიშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**V**
23	ეკატერინე შაკიაშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**V**
24	ვანო ჭიაურელი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
25	ელდარ პირმისაშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**

26	თინათინ აფხაიძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	პროფესორი	**V**
27	გიორგი ზირაქაშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	პროფესორი	**V**
28	ირაკლი მიქავა	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი	**V**
29	ნანული დანელია	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	ავტორიზაციის და აკრეტიზაციის განყოფილების უფროსი	**V**
30	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	VI
31	მოგელი შენგელია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
32	ნინო შოშიტაშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	VI
33	დავით ძიძიგური	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	„ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	რუდიგერ ლოჰმანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მზევარ გოგილავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თამარ ჩოკორაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

12	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	მიხეილ გოგატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	მაკა აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
16	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	ნატო ასათიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი Master's Program in Digital Logistics Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუ (გერმანია)
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2021 გადაწყვეტილება №620655
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი Master of Engineering Logistics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. N1, თბილისი, 0102, საქართველო Technische Hochschule Wildau Hochschulring 1 15745 Wildau, Germany

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, სოფო უგრეხელიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ გადაეცა მასალები, რომლებიც შეისწავლეს დოკუმენტები, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა კონსტრუქციული შეხვედრა, ექსპერტთა მიგნებები აღწერილია დასკვნაში.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
• პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ ეს ხარვეზი სათანადოდ შეივსოს (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდოლოგია, მცირე კვლევითი პროექტები, რომლებიც ნაშრომზე მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს);
• ასევე რეკომენდებულია, რომ უფრო მკაფიო გახდეს პროგრამის საინჟინრო მახასიათებელი;
• უაღრესად რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული: მისაღები გამოცდა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს (მაგ.; კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ხანგრძლივობა, გამოცდის მიზნები....), ასევე, უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს მისაღები სტუდენტის წარსული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის საჭიროებებს - აღნიშნული მოთხოვნები გაიწერა, რადგან პროგრამის კოორდინატორებთან, ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გასაუბრებისას გაფილტრავენ ადამიანებს, რომლებმაც შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ

თავიდანვე იყოს ცნობილი აპლიკანტებისთვის, რეალურად მაინც კონკრეტული განათლების მქონე ადამიანების ჩარიცხვა უნდა მოხდეს და ჯობია მიღების წინაპირობებშიც იყოს დაზუსტებული, რათა აპლიკანტებმა სწორად შეძლონ ორიენტირება, შეძლებენ თუ არა აღნიშნულ მიმართულებაზე სწავლის გაგრძელებას;

- სასწავლო გეგმაში შევიდეს სტაჟირება;
- სასწავლო გეგმაში შევიდეს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვა;
- დაკონკრეტდეს მოთხოვნები არჩევითი საგნების ასარჩევად;
- მკაფიო გახდეს პროგრამის ორიენტირი (ყურადღება გამახვილდეს ან ტრანსპორტსა და სასაწყობე მეურნეობაზე და შესაბამისად დაერქვას პროგრამას სახელი ან შენარჩუნდეს ტერმინი „ციფრული ლოგისტიკა“ და მოიცვას სხვა თემები (ოპერაციები, დაგეგმარება, მონიტორინგი....);
- სასწავლო გეგმაში დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული კურსები (მაგალითად, სამეცნიერო წერა, კვლევის მეთოდები, კვლევითი პროექტები).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ნუგზარ სხირტლაძემ, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მხარი დაუჭირა განსახილველ პროგრამას, მათი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტთა შორის შესაძლებელია გამოიყოს ორი მათგანი: 1. საზოგადოების მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება უმაღლესი კვალიფიკაციის კადრით, 2. ინტერნაციონალიზაცია, სწორედ, ამ ორი ასპექტის აუცილებლობიდან/მნიშვნელობიდან გამომდინარე წარმოადგინეს აღნიშნული პროგრამა, რომლის შესახებაც ერთი მხრივ შეისწავლეს და დარწმუნდნენ, რომ ლოგისტიკის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიული კადრები არის საჭირო, ასევე ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მოიძიეს ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც გამორჩეულია ამ მიმართულებით გაზრდილი კადრებით, შესაბამისად განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, შოთა ნიჟარაძემ, დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, გარკვეული შეზღუდვების გარდა ბაკალავრს შეუძლია შეიცვალოს პროფესია და ისწავლოს მაგისტრატურაზე, დანარჩენი, ეროვნული გამოცდები თუ სხვა, დეტალურად არის გაწერილი. რაც შეეხება, შინაარსს, დაწესებულებას აქვს შიდა რეგულაცია/გამოცდა, წარდგენილი იყო მაგისტრატურის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი პროცესები, თუ როგორ ხდება შერჩევა ისეთი აპლიკანტის, რომელიც ნამდვილად დაძლევს პროგრამას და გავა შესაბამის სწავლის შედეგებზე, ნახსენები იყო, რომ შესაძლებელია ხდებოდეს გაფილტვრის მსგავსი რაღაც, სინამდვილეში პროფესიების მიხედვით გაფილტვრა სულაც არ წარმოადგენს პროგრამის მიზანს, შეიძლება რაღაც ნაწილში დაემთხვეს, თუმცა მნიშვნელოვანია კომისია დარწმუნდეს ინგლისურის ცოდნაში და პროფესიისთვის საწყის ეტაპზე საჭირო უნარების მქონე აპლიკანტში, გარკვეული მონათესავე პროგრამების პრიორიტეტი არ არის, თუმცა შესაძლებელია დაემთხვეს. შიდა გამოცდა/კომისია უზრუნველყოფს რომ განისაზღვროს, წინასწარ ვებ გვერდზე იდება თემატიკა და შესაბამისად, სრულ შესაბამისობაშია. დაწესებულება არ მიიჩნევს სწორად 2.1 კომპონენტის ნაწილობრივ შესაბამისობას, რამაც ძალიან გააკვირვა დაწესებულების წარმომადგენლები. ზეპირი დაცვის სასწავლო გეგმაში ჩასმის შესახებ მან განმარტა, რომ სავარაუდოდ რაღაც გაუგებრობა იყო, რადგან ზეპირი დაცვის გარეშე წარმოუდგენელია ნაშრომის დაცვა, რაც ასახულია აღწერილობაში/პროგრამის სილაბუსში, ასევე კრიტერიუმებშიც კი არის გაწერილი პრეზენტაბელურობა, კითხვა-პასუხი, რამდენად კარგად წარმოადგინა თემა, როგორ დაიცვა და ა.შ., რადგან აღნიშნული პროგრამა დაწესებულების წინაშე არ დგას. არჩევითი საგნების მოთხოვნების დაზუსტების შესახებ მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს და არც საჭიროთ თვლიან პროგრამისგან განსხვავებულ მოთხოვნებს, პრერეკვიზიტების გარდა, რომელიც

მითითებულია, როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსშიც, ერთ-ერთი სავალდებულო საგანი, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული და წინასწარ იცის სტუდენტმა, შესაბამისად მას თავიდანვე უჩანს, რომ ვერ აირჩევს, რადგან გარკვეული საგანი არ გაუვლია და აღნიშნული პროგრამა არ დგას დაწესებულების წინაშე.

„ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი დობორჯგინიძემ, საინჟინრო მიმართულების გაძლიერების შესახებ განაცხადა, რომ თვითონ არის საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის თავმჯდომარე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა და რისკი იმისა, რომ საქართველომ მოახერხოს ამ ინდუსტრიის განვითარება და ზოგადად რაც დეკლარირებულია მიზანი, რომ გადაიქცეს ლოგისტიკურ ჰაბად, არის ის წინაპირობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით. დაწესებულების წარმომადგენლებს პანდემიამ დაანახა ის, რომ ციფრული პროცესები ძალიან მნიშვნელოვანია ლოგისტიკაში, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში. პროგრამაში განსაზღვრული საგნების/მოდულების 70% არის საინჟინრო მიმართულების, რომელიც სხვადასხვა დისციპლინებს მოიცავს, დაწყებული სხვადასხვა ლოგისტიკური სისტემის დაგეგმვით, დამთავრებული ციფრული ტრანსფორმაციით და ტექნოლოგიებით, ზოგადად პროგრამა არის „მიქსი“ საინჟინრო ლოგისტიკისა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის, გარკვეული 20-25% არის მენეჯმენტის მიმართულებები, რადგან ეს არის ევროპული პრაქტიკა, ნებისმიერ საინჟინრო პროგრამაზე ლოგისტიკის/წარმოების მიმართულებით, შეიძლება ითქვას, მსგავსი მიმართულებებით, საერთაშორისო პრაქტიკაა, რომ მენეჯმენტის მიმართულებაც არის წარმოდგენილი, თუნდაც ეს იყოს მიმზიდველი სტუდენტებისთვის, მიუხედავად ამისა ლოგისტიკაზე მათ არჩეული აქვთ საინჟინრო მიმართულება საჭიროებს მენეჯერულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებულისთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება გარკვეულ საკითხებზე. მეორე რეკომენდაცია, რაც კომბინაციაშია მასთან, (მკაფიო გახდეს პროგრამის ორიენტირი (ყურადღება გამახვილდეს ან ტრანსპორტსა და სასაწყობე მეურნეობაზე და შესაბამისად დაერქვას პროგრამას სახელი ან შენარჩუნდეს ტერმინი „ციფრული ლოგისტიკა“ და მოიცვას სხვა თემები (ოპერაციები, დაგეგმარება, მონიტორინგი....)), პროგრამის თანახელმძღვანელმა დასძინა, რომ რასაც ხედავენ საერთაშორისო/რეგიონალურ ტრენდს ლოგისტიკაში არის, რომ ლოგისტიკის თითქმის ყველა მიმართულება ლოგისტიკაში საჭიროებს ციფრულ ტრანსფორმაციას, იქნება ეს სასაწყობო მიმართულება, ტრანსპორტი და ა.შ. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები არ გამიჯნავდნენ და გაუკვირდათ კიდეც, რადგან სილაბუსებში კარგად ჩანს, რომ ნებისმიერი მიმართულება აქვთ, ტრანსპორტიც, საწყობიც, გლობალური მიწოდების ჯაჭვიც და ა.შ. დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან, მათი მიზანი, აღნიშნული პროგრამის, აბსოლუტურად ინოვაციურია, დაემთხვა პანდემიის პერიოდი და მოახერხეს გაეთვალისწინებინათ ის ტრენდები, რომელებიც გამოიწვია პანდემიამ, არის ის, რომ ლოგისტიკის ყველა მიმართულებით წინ მოდის ციფრული მიმართულება, რაც ასევე პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს და განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსთვის, სადაც არის შედარებით მცირე ბაზარი ლოგისტიკის მიმართულებით, მაგრამ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია აძლევს საშუალებას, რომ მოემსახუროს არამარტო საქართველოს ბაზარს, არამედ რეგიონალურ ბაზარს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, შინაარსობრივად აშკარა უპირატესობაა საინჟინრო მიმართულების საგნების, მათი მოსაზრებით აღნიშნული პროგრამის უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ ციფრული ტექნოლოგიები დააკავშირეს, როგორც საინჟინრო ლოგისტიკასთან, ასევე მენეჯმენტთან, რადგან მენეჯერულ საგნებთან მიმართებაშიც არის ციფრული ტექნოლოგიების მიქსი.

პროფესორმა, ჰერბერტ სონტაგიმ, კვლევით მიმართულებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის ფუნდამენტური რეკომენდაცია კვლევით მიმართულების გასაძლიერებლად, მაგრამ მათი რწმენით ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი ორიენტირებულია კვლევაზე, მისი ხედვით ეს შესაძლებელია იყოს კონტური თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას შორის, მაგრამ მათ რა თქმა უნდა აქვთ კვლევა. ჩვეულებრივ, სამაგისტრო საფეხურის პირველ ნაწილში,

მოცემულია სამეცნიერო წერის შემსწავლელი გაიდები, თუმცა, როდესაც სამაგისტრო ნაშრომზე უწევთ მუშაობა შეისწავლიან კვლევის მეთოდებსაც, როგორც ცნობილია, პროგრამის წინაპირობაა, რომ აპლიკანტი იყოს ბაკალავრიატის ხარისხის მქონე, რაც გულისხმობს, რომ მას შესრულებული ექნება საბაკალავრო თეზისი, რაც თავისთავად მოიცავს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილებას, აქვთ სასწავლო კურსი კვლევის მეთოდოლოგია, ასევე სხვადასხვა კურსებში არის კომპონენტები, რომლებიც აფასებენ კვლევით უნარებს, როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით გამოცდებზე. აქედან გამომდინარე საინჟინრო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა არა მხოლოდ ცალკეული კურსით, არამედ კურსებში ინტეგრირებით აფასებს/ასწავლის კვლევით მეთოდოლოგიას და პროგრამა საკმაო რაოდენობით მოიცავს კვლევის კომპონენტს და ის არის კვლევაზე ორიენტირებული.

„ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი დობორჯგინიძემ, განაცხადა, რომ გერმანიის პრაქტიკა, ბილბაოს უნივერსიტეტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი მესამე ადგილზეა გერმანიის მასშტაბით, ლოგისტიკის პროგრამებით, ყველაზე წარმატებული პროგრამები არის სწორედ გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტებში, რადგან ეს არის პრაქტიკაზე ორიენტირებული დარგი, რომელშიც მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ თითოეული სილაბუსი მოიცავს საკმაოდ პრაქტიკული მნიშვნელობის საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტებს. პროგრამის შემუშავების ფაზაში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამშრომლობა ჰქონდა წამყვან კომპანიებთან, არამარტო ლოგისტიკის, არამედ წარმოებისა და ვაჭრობის მიმართულებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია ლოგისტიკური პროცესები, რისთვისაც წინასწარი იდენტიფიცირებაც კი მოახდინეს იმ კვლევითი თემების, რომლებიც მათ აინტერესებდათ, შესაბამისად აუცილებლად ჩაერთვებიან ისინი, იმ კუთხით, რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება კომპონენტები დაამუშაონ კონკრეტულ მაგალითებზე, რომლებიც გამოყენებადი იქნება პრაქტიკულად, ამიტომ ეს არის ძალიან კარგი მიქსი, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მუშაობის, დაწესებულების მიზანია, ეს სამეცნიერო მუშაობა იყოს გამოყენებადი ინდუსტრიაში

ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ, წინაპირობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრი თანხმობას არ გასცემდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მიღების წინაპირობებში დაწესებულებამ უფრო მეტი კონკრეტიკა უნდა გააკეთოს, სწორედ ამიტომ დარჩა აღნიშნული საკითხი რეკომენდაციაში, რადგან კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია აკრედიტაციის სტანდარტებიც, რომელიც მოითხოვს, რომ დაშვების წინაპირობა უნდა იყოს ობიექტური, სამართლიანი იქნება სტუდენტებისთვის, მაგისტრატურა არის საშუალება, რომ პროფესია შეიცვალოს ადამიანმა, მცირე გამონაკლისების გარდა, როდესაც წინაპირობა არ არის მოთხოვნილი, ასევე იმისთვის, რომ პროფესია შეიცვალოს და დაშვების წინაპირობები უნდა იყოს შესაბამისი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაზეც სტუდენტი უნდა გავიდეს, რისი დახმარებითაც სტუდენტმა უნდა განსაზღვროს როდესაც პროგრამაზე აბარებს შეძლებს თუ არა მის დაძლევას, ამ ლოგიკიდან გამომდინარე დარჩა აღნიშნული საკითხი რეკომენდაციებში. შინაარსიდან გამომდინარე, არ არის დარგის ექსპერტი და სილაბუსებს ვერ შეაფასებს, თუმცა შეუძლია მოყვეს ის მსჯელობა, რომელიც გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის, ვინაიდან პროგრამის სტუდენტი, შესაძლებელია გახდეს, როგორც იურისტი, ასევე ჰუმანიტარული და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანი, რომელსაც ჰყოფნის კომპეტენცია, რომ აითვისოს ის სასწავლო კურსები, რაც კურიკულუმშია გათვალისწინებული, სწორედ ამიტომ მიიჩნიეს დარგის ექსპერტებმა, რომ დაზუსტებულიყო აპლიკანტის წინმსწრებ განათლება ან პრაქტიკული უნარები, რაც დაეხმარება სასწავლო კურსის დაძლევაში, მნიშვნელობა არ აქვს მის პროფესიას, რისკი მისი დასაზღვევი იქნება, მაგრამ დაშვების წინაპირობებში მოთხოვნილი უნდა იყოს, ზოგადი მოთხოვნები კი შესაბამისია კანონმდებლობასთან. გერმანული მიდგომებით აღნიშნული პროგრამა გაყოფილი არ არის პროგრამა იწყება და მთავრდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით კვლევით კომპონენტს წარმოადგენს და ფასდება

განსხვავებულად, იმის გათვალისწინებით, რომ ერთობლივი პროგრამაა და ქართველი აპლიკანტებიც მიდიან, შესაძლოა გერმანიაში საბაკალავრო ნაშრომი არის კვლევითი კომპონენტი, მაგრამ ეს არ არის საქართველოს შემთხვევაში, რის გამოც გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნია ექსპერტის მიერ დასახელებულის უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ ჰყავთ სპეციალური კომისია და გამჭვირვალობასთან მიმართებაში არანაირი პრობლემა არ არსებობს, აპლიკანტებმა წინასწარ იციან, ვებ გვერდზე ქვეყნდება დეტალური ინფორმაცია და კვალიფიკაციების ჩამოწერა, რომ კონკრეტულს აქვს/არ აქვს უფლება მოხვდეს კომისიაზე ეს აქვთ. დაწესებულების წარმომადგენლებს არ უგულისხმიათ, რომ კვლევითი კომპონენტები ბაკალავრიატში ისედაც არის, არამედ აკადემიური წერა მისთვის ცნობილ ყველა საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო კომპონენტია, აკადემიური წერის ნაწილში აღნიშნული საკითხი მოგვარებულია და კვლევის ნაწილში მისმა კოლეგებმა ისაუბრეს, რომ ეს უკვე ჩაშენებულია სამაგისტრო პროგრამის კომპონენტებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მას პროგრამა მოსწონს, მაგრამ როდესაც კითხვის შემდეგ კლასიფიკატორს ჩახედა გაუჩნდა კითხვა, სავარაუდოდ ექსპერტების ორი რეკომენდაცია, გაიზარდოს საინჟინრო მიმართულება და დაზუსტდეს პროგრამის შინაარსი იქნება სატრანსპორტო ლოგისტიკა თუ უბრალოდ ლოგისტიკა, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი ხედავდა, როგორც ახლა პრობლემას, თუ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ ნაბიჯებს. მან მიმართა პროგრამის ხელმძღვანელებს, რომ პროგრამა თუ არ იქნებოდა 0719 და იქნებოდა 0413.2.15 - ლოგისტიკა, ან 0413.2.16 - ტრანსპორტის ლოგისტიკა საერთოდ არ იარსებებდა კითხვები, მანაც გადახედა დათვლას, თუმცა არ მოეჩვენა რომ პროგრამის 70% საინჟინრო მიმართულებაა, ყველაფერი იმაზეა თუ რას დაარქმევენ საინჟინროს, გასაგებია, რომ მენეჯმენტს მაგისტრატურაში ასწავლიან ფართოდ, მაგრამ სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა და სხვა, ამიტომ მას არ აქვს კითხვა მათ კომპეტენციასთან, უბრალოდ დაინტერესდა, რომ თუ ეს ერთობლივი პროგრამა იქნებოდა ანუ გერმანულ მხარესთან მაქსიმალური ერთობა ყოფილიყო ამიტომ მიიღეს თუ არა გადაწყვეტილება, რომ 0719 ყოფილიყო და გაირთულეს ცხოვრება, თუ შეგნებულად ჩათვალეს, რომ ეს არ არის 0413.2.15 - ლოგისტიკა და ეს არის ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი, მაშინ მენეჯმენტს რა უნდა აღნიშნულ დასახელებაში, რატომ წავიდნენ 0719-ის არაკლასიფიცირებულში, რადგან პროგრამა ნამდვილად კარგია.
საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას, განცხადებით არ არის დარგის სპეციალისტი, მაგრამ შეუძლია თქვას, რომ ნამდვილად კარგი პროგრამაა და მნიშვნელოვანია მისი განხორციელება, რადგან საქართველო ასეთი ერთობლივი პროგრამებით განებივრებული არ არის. მან განმარტა, რომ ერთი რეკომენდაცია ორჯერ არის წარმოდგენილი, რაც ეხებოდა კვლევით უნარებს. იგი დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ხომ არ იყო უცხოელების დაჟინებული მოთხოვნა, რომ სტანდარტული პაკეტი ყოფილიყო წარდგენილი, რაც მათ პროგრამებში არის ხოლმე. ასევე, სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელს განმარტება კვლევის მეთოდების საგანთან დაკავშირებით, რომელიც ცალკე არ იყო წარმოდგენილი, იყო თუ არა აღნიშნული საკითხები სხვა საგნებში ინტეგრირებული, და რომელი სასწავლო კურსი ან კურსები უნვითარებდა კვლევით უნარებს იმისათვის, რომ მეოთხე სემესტრში სტუდენტმა შეძლოს სრულფასოვანი ნაშრომის შესრულება. წინაპირობასთან დაკავშირებით დაეთანხმა მოსაზრებას, რომ შეფასება არის ნამდვილად მკაცრი, ვიდრე სინამდვილეშია, ვინაიდან წინაპირობებში დაცულია ყველა მოთხოვნა. პროგრამის ხელმძღვანელმა ახსენა, რომ წინაპირობებში წერია გამოცდა, თუმცა წერია გასაუბრება, შესაბამისად მისი მოსაზრებით, ჯობდა ყოფილიყო გამოცდა, ვინაიდან დაშვების წინაპირობა არის თავისუფალი, შეზღუდვების გარეშე და დამცავი ფილტრი იქნებოდა უფრო სრულფასოვანი და მყარი

გამოცდის დაფიქსირების შემთხვევაში. ასევე საბჭოს წევრმა გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ინგლისური ენის გამოცდაც არის დარგობრივი ჭრილში მოცემული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციაში - „სასწავლო გეგმაში შევიდეს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვის კომპონენტი“, რადგან კურიკულუმის გეგმა ამას არ საჭიროებს, სადაც წერია, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და ასევე ცალკე არის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც პრეზენტაციის უნარი და საჯარო დაცვა ასახულია შეფასების კრიტერიუმებში.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ მას ზედმეტად ხაზგასმულად მოეჩვენა სიტყვა „ციფრული“, რადგან თანამედროვე მარკეტინგის სპეციალისტი აკეთებს ყველაფერ იმას, რაც „ციფრულთან“ არის დაკავშირებული. მან მიმართა ექსპერტს, რომ ახსენეს ფრაზა „პროექტების კვლევის მეთოდოლოგიის“ გაძლიერების შესახებ, დაინტერესდა თუ რა იგულისხმეს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესო, კარგი და მნიშვნელოვანია რამდენიმე სილაბუსთან დაკავშირებით დაინტერესდა ტექნიკური ხარვეზები იყო თუ არა, მაგ., ძალიან საინტერესო და კარგად გაწერილ სილაბუსში „ლიდერობა“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია Leadership - Theory, Aplication, and Practice (4th Edition) Robert N. Lussier & Christopher F. Achua 2010 სახელმძღვანელო, რომელიც ძალიან კარგი რესურსია და მეტი არაფერი, ასევე არის მინიშნება, რომ სტუდენტებს მიეწოდებათ ქეისები და სხვა საჭირო მასალა, თუმცა მეორე კვირიდან, თემატიკის გავლის დროს Lussier-ის სახელმძღვანელო არ არის წარმოდგენილი, თუმცა აღმოჩნდა სხვა, საკმაოდ მრავალი რესურსი, რომელიც გამოყენებულია, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია, რადგან შემდეგ რესურსის გარეშეა მესამე კვირა და ა.შ., ექსპერტებს ექნებათ პასუხი, რადგან ძირითადი ლიტერატურა და რომელიც შემდეგ ჩაშლილია მითითებული და არის ბიბლიოთეკაში თუ არა და არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი. ასევე, სასწავლო კურსი „პროექტის მართვა“, რომელიც ძალიან საინტერესო სასწავლო კურსია და აქაც თავისი შინაარსით და მითითებული რესურსებით, მაგ., Project Management For Dummies®, 5th Edition, Portney 2017 არის გამოყენებული, ეს კურსი იყო საბაკალავრო პროგრამაშიც, ზუსტად იგივე რესურსებითა და საკითხებით, დაინტერესდა ის სტუდენტები, რომლებიც საბაკალავრო პროგრამიდან ჩაირიცხებიან, არ აირჩევენ აღნიშნულ კურსს, რადგან არჩევითია თუ რა ხდება აღნიშნულ შემთხვევაში.
საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის, განცხადებით მან თვითშეფასებაში ნახა და გაუკვირდა, რომ აფილირებული პერსონალი უნივერსიტეტის მხრიდან არ არის ჩართული, მითითებულია, რომ პროგრამაში ჩართულია 11 ადამიანი, თუმცა 1 პროფესორი, რომელიც არ არის აფილირებული, დაინტერესდა თუ რამდენად მდგრადი იქნება პროგრამა თუ არ იქნება აფილირებული პერსონალი ჩართული. როდესაც საუბარია პროგრამის შემუშავება/განვითარებაზე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში იყოს კადრები/პროფესურა, რომელიც ჩართულია პროგრამის შექმნაში, მიმდინარეობს დისკუსია რომელი საგანი შეარჩიონ და ჩასვან პროგრამაში, მათი მხრიდან პროგრამაში, დაინტერესდა თუ როგორ მიმდინარეობდა პროგრამაზე მუშაობა, მოწვეული პერსონალი იყო ჩართული, უნივერსიტეტის შიდა პროფესურა იყო ჩართული, თუ არსებობდა პროგრამა გერმანულ უნივერსიტეტში, რომელსაც მოარგეს აღნიშნული პროგრამა და ძირითადად იმ პროგრამაზე ააგეს, ასევე, აპირებს თუ არა პერსონალით გაძლიერებას დაწესებულება. ამასთანავე პროგრამაში მითითებულია, რომ მესამე სემესტრი გერმანიაში უნდა გაიაროს სტუდენტმა, დაინტერესდა არის თუ არა მესამე სემესტრის გერმანიაში გავლა სავალდებულო, თუ შესაძლებელია დარჩეს სტუდენტი და საქართველოში გაიაროს, აღნიშნული საკითხით დაინტერესდა, რადგან პროგრამა ერთობლივია. კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ ეს არის პრობლემა, რადგან სხვადასხვა რეგულაციებია ქართულ და გერმანულ პროგრამებს შორის, გერმანიაში არსებობს „ჰოჰშულე“, რაც არის გამოყენებით სწავლებაზე

ორიენტირებული და შესაბამისად კვლევითი კომპონენტი მცირედად არის წარმოდგენილი, შესაბამისად ის კვლევითი კომპონენტი, რასაც ექსპერტები ამბობენ რა კვლევაზეა საუბარი, არსებობს თეორიული ანუ სამეცნიერო კვლევა და კვლევა კვლევის მეთოდებით SPSS და ა.შ.
საბჭოს წევრის, ნიკა თიკანაშვილის, მოსაზრებით, პროგრამა არის ძალიან საინტერესო, აქტუალური და მოთხოვნადი, მითუმეტეს, როდესაც პროგრამა ერთობლივია. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული მომზადება, დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით თუ მოხდება პროექტების მომზადების პერიოდში ან პრაქტიკის ობიექტზე მაგისტრანტების ვიზიტები, თუ არის შერჩეული სამომავლოდ ის ობიექტები, პრაქტიკის განმახორციელებლები ან დამსაქმებლები, სადაც სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება მოხდება. მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ნაწილი, როდესაც საუბარია ლოგისტიკის საკითხებზე, გაეცნო სილაბუსს „საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი“, რომელიც ძალიან საინტერსოა, თანამედროვეა გამოყენებული რესურსებიც, სილაბუსში მასალები ფართოდ არის გაშლილი ტრანსპორტთან არის დაკავშირებული, შეფასების ნაწილში მოცემულია შემთხვევების ანალიზი და თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა ქეისები შეიძლება ყოფილიყო განხილული, რითაც გაეზრდებოდათ სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუდიგერ ლომანმა, განაცხადა, რომ პროგრამა ნამდვილად კარგია, თუმცა მას სჭირდება დახვეწა. კვლევის მეთოდების შესახებ კი განმარტა, რომ მან ინტერვიუების დროს მიიღეს ინფორმაცია დაწესებულებისგან, რომ კურსები დაფუძნებულია კვლევაზე, თუმცა მათ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ეს არის განათლების მიმართულებით კვლევა და არა სამეცნიერო, რადგან სამეცნიერო სამაგისტრო უნდა მოიცავდეს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო უნარებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დანახა თუ რომელ კურსში იყო ჩაშენებული კვლევის ნაწილი, მათი მოსაზრებით უმჯობესი იქნება თუ გამოყოფილი იქნება უფრო სპეციფიურად, ასევე, ვინაიდან ანიჭებენ დიპლომს ინჟინერიაში აუცილებელი იყო ეთქვათ, რომ დაემატებინათ საინჟინრო კურსები, რადგან პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერებული იყო კომპიუტერული მეცნიერებების ნაწილი. ზეპირი დაცვის შესახებ მან განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე აუცილებლად უნდა იყოს მითითება საგანმანათლებლო პროგრამაში, რადგან ეს არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის და მათ წინასწარვე უნდა იცოდნენ, რომ არ მხოლოდ წერილობით, არამედ ზეპირადაც მოუწევთ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და ამისთვისაც უნდა იყვნენ მზად, ასევე უნდა იყოს გამოყოფილი შესაბამისი ქულა, 13-14 თუ ა.შ. უბრალოდ უნდა იყოს ნათელი სტუდენტებისათვის.
ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ, აფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იყო დასმული კითხვები და რჩევებშიც მოხვდა საკითხი, რომ პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია აკადემიური პერსონალის გაძლიერება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუდიგერ ლომანმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი გახლდათ ის, რომ პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია მის განხორციელებაში ჩართული იყოს მუდმივი პერსონალი, ვინაიდან პროგრამის განმახორციელებლები, შეიძლება იყვნენ პრაქტიკოსები, თუმცა პროგრამის მდგრადობისთვის, პერსონალს შესაძლებელია მოუწიოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვ. საფრთხე, უმჯობესია პროგრამის მდგრადობისთვის იყოს აფილირებული პერსონალი.
პროფესორმა, ჰერბერტ სონტაგიმ, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვისთვის გამოყოფილია 6 კრედიტი, რაც მარეგულირებელ. შიდა დოკუმენტში არის გაწერილი.
უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელმა, შოთა ნიჟარაძემ, საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სწორედ შინაარსიდან მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სწორედ არის მითითებული საინჟინრო ლოგისტიკა, არა იმიტომ, რომ მსგავსი პროგრამით/მიმართულებით ხორციელდება გერმანიის უნივერსიტეტში, არამედ შინაარსიდან გამომდინარე მეტად შესაბამისობაში იყო და საერთოდ არ გაუხდიათ სადავოდ, რომ ყოფილიყო ბიზნეს ადმინისტრირების ქვეშ მყოფი ლოგისტიკის. 70% იქნება თუ

ცოტა მეტი/ნაკლები, შინაარსის ცოტა რთულია, ძირითადად კომპიუტერული მეცნიერებების საგნები კონცენტრირებულია არჩევითში, თუმცა ნაწილი არის სავალდებულოშიც, თუმცა 13 საგნიდან მინიმუმ 10 საინჟინრო მიმართულებისაა, კრედიტობრივად კი უფრო მეტი შეიძლება გამოვიდეს, ვიდრე 70%, საგნების ძირითადი ნაწილი კომპიუტერულ მეცნიერებებთან და მენეჯმენტთან დაკავშირებით კონცენტრირებულია არჩევით საგნებში. მისი მოსაზრებით ტექნიკური შეცდომაა აფილირებასთან დაკავშირებით პროგრამაში ჩართულია 5 პროფესორი, ეს არის ორმაგი პროგრამა, აფილირების პროცედურა სხვანაირად განისაზღვრება, ხუთივე სრული პროფესორია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გარკვეული გეგმები აქვთ ამ მიმართულებით განვითარების/გაძლიერების აღნიშნული ეტაპისთვის სრულიად საკმარისია. მესამე სემესტრის გავლა კი სავალდებულოა გერმანიაში, ასევე არამხოლოდ ამ მესამე სემესტრში ასწავლის გერმანული მხარის 4 პროფესორი, არამედ რამდენიმე საგანზე საქართველოშიც ჩამოდიან.

„ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროგრამის თანახელმძღვანელის, გიორგი დობორჯგინიძის, განცხადებით, პანდემიამ შეცვალა ის, რომ აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი გახდა მიწოდების ჯაჭვი, კომპანიებმა დაიწყეს სერიოზული დივერსიფიკაცია ამ მიწოდების ჯაჭვებისა, პრაქტიკულად გაოთხმაგდა ტრანსპორტირება ჩინეთიდან და იძულებულია მწარმოებელიც და სავაჭრო კომპანიაც, რომ განიხილოს ახალი ბაზრები, რომლებიც გეოგრაფიულად სხვაგან მდებარეობს, დაახლოებით 1 ან 2 დეკადაში საქმე ექნებათ დივერსიფიკაციასთან, რაც დაკავშირებულია უფრო მეტი საზღვრის კვეთასთან და კოორდინირებულ დაგეგმვასთან, საუბარი არ არის მხოლოდ სატრანსპორტო ლოგისტიკურ კომპანიაზე საუბარი, არამედ მიწოდების მთლიანი ჯაჭვი უნდა დაიგეგმოს ერთობლივად, მწარმოებელს, სავაჭრო კომპანიასა და ლოგისტიკურ კომპანიას შორის, რასაც სჭირდება ტექნოლოგიური ბმა ერთმანეთში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დააზუსტა თავისი კითხვა, მისთვის გასაგებია თუ რა შეიცვალა, მას აინტერესებდა თუ რა შეიცვალა სპეციალისტის მომზადების თვალსაზრისით და არა ეკონომიკის თვალსაზრისით.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი დობორჯგინიძემ, განაცხადა, რომ საქართველოში არსებულ საერთაშორისო/საცალო ვაჭრობის კომპანიებს თავის პორტფელში აქვთ დაახლოებით 150 000 სხვადასხვა პოზიცია საწყობში, თუ 5-10 წლის წინ Excel-ის დახმარებით იგეგმებოდა მარაგების მართვა, როდესაც 150 000 სხვადასხვა პოზიციაა ეს არის შეუძლებელი, გაკეთდეს Excel-ით, სჭირდება ძალიან მძლავრი ციფრული ტექნოლოგიები/აპლიკაციები. გერმანიის უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელის ინიციატივითაც საქართველოს განათლების კლასიფიკატორში შევიდა ცვლილება და საინჟინრო ლოგისტიკა გაჩნდა, პროგრამა ორიენტირებულია მიწოდებათა ჯაჭვების დაგეგმარება/დიზაინზე, არის ასევე მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რომლებიც აღსრულებას გულისხმობს, მაგრამ ფოკუსი არის მათი დაგეგმვა/დიზაინი. შესაძლებელია შეხვდეთ საგანი „ინტერმოდალური ტერმინალის მართვა“, რაც საკმაოდ მიმზიდველია, მისი შინაარსის ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია მათ დაგეგმვასა და დიზაინზე. მათ ჰქონდათ კითხვა ხომ არ არის ადრე, თუმცა, მაგ., ელექტრონული კომერციის ლოგისტიკაში საქართველოში უფრო მეტი სტარტაფი შეიძლება იყოს ვიდრე ევროპის ქვეყნებში, ციფრული ტრანსფორმაცია აძლევთ იმის საშუალებას, რომ ქვეყანა, რომელიც ტექნოლოგიურად შესაძლებელია არ არის ისე განვითარებული, როგორც გერმანია, მაგრამ სწორედ ეს აძლევს საშუალებას გადახტეს ორი ნაბიჯით წინ და კონკურენცია გაუწიოს, როგორც რეგიონში, ისე სხვა უფრო მაღალტექნოლოგიურ ქვეყნებს. მისი თქმით, პროფესორმა, ჰერბერტ სონტაგიმ, განაცხადა, რომ ზოგიერთ საგანში არის კვლევითი კომპონენტი, მაგრამ რაც არის გერმანული პრაქტიკა მოამზადებენ გაიდლაინებსა და ინსტრუქციებს, რაც იქნება სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის ერთ-ერთი ნაწილი, რომ რეალურად სტუდენტები მოამზადონ მაღალხარისხიანი კვლევის ჩატარებისთვის. მან განმარტა, რომ „ფახოხშულე“ არ უნდა გაეგოთ, როგორც უნივერსიტეტს, რომელსაც წინ აქვს წამოწეული და უკანა პლანზე აქვს, ეს ასე არ არის, გამოყენებით მეცნიერებათა

უნივერსიტეტებში შეუძლებელია თუ უნივერსიტეტებთან არის თანამშრომლობა, სადოქტორო პროგრამის მომზადება, არ ნიშნავს იმას, რომ კვლევითი კომპონენტები უკან არის დაწეული. განსახილველ პროგრამებში ბიზნეს ქეისების მომზადებას უჭირავს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. სილაბუსთან „საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი“ დაკავშირებით მან განაცხადა, აღნიშნულ სასწავლო კურსს ასწავლის პროფესორი ვერნერზონი და ყოფილი მენეჯერი, რომელსაც აქვს ძალიან კარგი პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მემორანდუმი გააფორმა კომპანიებთან, რომლებიც ითანამშრომლებენ მათთან სხვადასხვა დარგებში, ეს არ არის მხოლოდ ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ეს არის წარმოება და ვაჭრობაც, სადაც მათთან ერთად აქტიურად შეარჩევენ კვლევით თემატიკას, ინდუსტრიისთვის სარგებელი იქნება ის, რომ სტუდენტების/უნივერსიტეტის რესურსი გამოყენებულ იქნება, მეცნიერული კვლევების საფუძველზე იკვლევენ რაც აინტერესებთ და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, შერჩეულია უკვე ის კომპანიები, რომლებიც მათთან ერთად იმუშავებენ, ეს არის იდეალური, რომ მათ როგორც მოწვეულ სემინარებზე ექნებათ საშუალება, რომ სტუდენტები გაიცნონ და შემდეგ კურსდამთავრებულებთან ითანამშრომლონ დასაქმების კუთხით, ამიტომ ამას აუცილებლად მოიცავს. სილაბუსთან „ლიდერობა“ დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ჩახედა და ყველა თემასთან აღნიშნულია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის სილაბუსის ავტორი, მოეჩვენა, რომ ძალიან კარგად არის გაწერილი ლიტერატურა თითოეულ საკითხზე.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის, განცხადებით, მას არ უთქვამს, რომ ლიტერატურა არ არის მითითებული, მან აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოა გაწერილი, რომელიც არის კვირებშიც, თუმცა ძირითადი ლიტერატურა, რამდენიმე კვირა საერთოდ არ არის მითითებული, ზოგგან კი 2-3-ჯერ მეორდება, კითხვის არსიც ეს იყო, რომ ლიტერატურა, რომელიც ცალკეულ კვირებში არის ჩაშლილი არ წერია ძირითადი ლიტერატურის გრაფაში, ქართულ/ინგლისურ ვერსიაში ერთი სახელმძღვანელოა გაწერილი, შემდეგ არის ჩაშლილი, ცალკე საკითხია „ლიდერობას“ გაწერილი სახელმძღვანელო როგორ შეესაბამება, მაგრამ მისი ვარაუდით ეს შეიძლება იყოს ტექნიკური ხარვეზი და სურდა ამის დაზუსტება.

უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, განაცხადა, რომ სავარაუდოდ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ის სილაბუსები, რომლებშიც დამხმარე ლიტერატურა არ არის მითითებული დამხმარე ლიტერატურაში, გადატანის დროს არის გამორჩენილი.

პროგრამის თანახელმძღვანელის, გიორგი დობორჯგინიძის, განმარტებით, კატეგორიულად ვერ დაეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ პროგრამა საჭიროებს დახვეწას და ასევე დასახვეწი/გასაძლიერებელია საინჟინრო მიმართულება, აღნიშნულ პროგრამაში ჩართული გერმანული/ქართული მხარე ძირითადად არიან ინჟინრები, ამიტომ კარგად ესმით აქტუალობა, პროგრამის შინაარსი ძირითადად შედგა ინდუსტრიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაშიც დაეთანხმებიან მისი გერმანელი კოლეგებიც, მაგ., ადამიანი ვერ გახდება პროფესორი თუ მას მინიმუმ 6 წლის გამოცდილება არ აქვს პრაქტიკაში და უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ შედის კვლევითი ინსტიტუტების ხუთეულში კერძო სექტორთან კვლევითი პროექტების მიმართულებით, ამიტომ აღნიშნული პროგრამის შინაარსი აბსოლუტურად ორიენტირებულია ბაზრის/ინდუსტრიის მოთხოვნებზე, ეს არის ის, რაც სჭირდება ბაზარს/დამსაქმებელს და არა ის, რაც კომფორტულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის.

ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ, ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ცენტრალიზებული, ელექტრონული პლატფორმა, სადაც ატვირთულია სილაბუსები, ამიტომ მისი მოსაზრებით ეს უფრო ტექნიკური ხარვეზია.

პროფესორმა, ჰერბერტ სონტაგიმ, კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ აქვთ დიდი გამოცდილება კვლევების მიმართულებით, გერმანიის სახელმწიფოსგან იღებენ

კვლევების დიდ დაფინანსებას და არიან მაღალ კონკურენტუნარიანი სხვა კვლევით უნივერსიტეტებთან თუ ა.შ. ხოლო რაც შეეხება პროგრამას, თუ რატომ დაარქვეს „ციფრული ლოგისტიკა“ და რატომ გააკეთებენ კვლევებს ამ მიმართულებით, მისი განმარტებით მათ აქვთ დიდი კონტრაქტები ევრო ბანკთან თუ სხვა დიდ საფინანსო ორგანიზაციებთან, მათთან კოლაბორაციით შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება ამ პროგრამის ფარგლებში. ეს იქნება არა მხოლოდ საგზაო, არამედ საზღვაო და სარკინიგზო მიმართულებით პროექტების დაფინანსება.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი დობორჯგინიძემ, პროგრამის მდგრადობის შესახებ განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია DAAD-ის როლი პროგრამაში.
პროექტის მენეჯერმა, ანდრეას დუდლიკმა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შესახებ განაცხადა, რომ DAAD აფინანსებს სხვადასხვა ქვეყნების პროგრამას, ამ შემთხვევაში საქართველო მათთვის არის განსაკუთრებული პრიორიტეტი, მათ აქვთ მსგავსი პროექტის გახორციელების 6 წლიანი გამოცდილება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, როდესაც გერმანიიდან გაგზავნეს აფილირებული და არა აფილირებული პროფესორები, რათა გადაემზადებინათ, როგორც პროფესორები, ასევე სტუდენტები. პროგრამის მდგრადობისთვის DAAD-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში მომდევნო 4 წლის მანძილზე გერმანიიდან გეგმავენ გამოგზავნონ აფილირებული და არა აფილირებული პროფესორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტში ტრენერთა გადამზადების ფარგლებში გადაამზადებენ აკადემიურ პერსონალს, რაც მათი პროგრამის მდგრადობას შეუწყობს ხელს.
უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძე, დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გასაუბრება უბრალოდ გამოცდის ფორმაა შესაძლებელია ცოტა უკეთ უნდა დაეზუსტებინათ, საუბარია შიდა გამოცდაზე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რასაც ექსპერტი აღნიშნავდა. შიდა გამოცდა შედგება ორი კომპონენტისგან: წერითი გამოცდა ინგლისურში და ზეპირი გამოცდა სპეციალობაში.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა კითხვა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი დობორჯგინიძემ, განმარტა, რომ თვითონ არის კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, 8 წლიანი გამოცდილება აქვს კავკასიის უნივერსიტეტთან მუშაობის. პროგრამის შემუშავებისას პირველ რიგში გამოვიდნენ ადგილობრივი/რეგიონალური მოთხოვნებით, ზუსტად იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ პროგრამის განვითარებისთვის. რა თქმა უნდა საერთაშორისო პრაქტიკა გამოყენებულ იქნა და გერმანიის უნივერსიტეტის გამოცდილებაც, არა მარტო სტრუქტურის დონეზე მოხდა ამ პროგრამის მორგება ბაზრის მოთხოვნებზე, თითოეული სილაბუსის შინაარსშიც, გაითვალისწინეს რეგიონალური მოთხოვნები, ნახეს რა იყო საერთაშორისო პრაქტიკა და მოარგეს ადგილობრივ ბაზარს.
უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, აფილირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საერთო ჯამში არ არის ცუდი მონაცემები/შედეგები აფილირებასთან დაკავშირებით, თუმცა გეგმაში აქვთ DAAD-ის პროექტის ფარგლებში, გაძლიერება ქართველი პროფესორებისაც, თუმცა ამ მომენტში ჩანდა, რომ აფილირებული პროფესორები არ ყავთ.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განმარტა, რომ გაახმოვანა ის, რაც თვითშეფასებაში ჩანდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 1.2 ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 2.1 ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 2.3 ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 4.1 ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ პროგრამა გაძლიერდეს მეთოდოლოგიისა და კვლევის დიზაინის ამსახველი საკითხებით, მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს;
2. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს შესაბამისი საინჟინრო მიმართულებების საკითხების/საგნების სწავლება;
3. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის სათაური სწავლის შედეგების შესაბამისად;
4. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ გაიწეროს მისაღები კრიტერიუმები შიდა გამოცდის/გასაუბრების ნაწილში და წარმოდეგნილ იქნას დეტალურად;
5. რეკომენდებულია სასწავლო გეგმას დაემატოს პრაქტიკა/სტაჟირება;
6. რეკომენდებულია პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს სტრუქტურისა და შინაარსის კავშირი ციფრულ ლოგისტიკასთან;
7. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა;
8. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით;

რჩევები:
1. გადაიხედოს არჩევითი საგნების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა კონცენტრირება მოახდინონ ლოგისტიკის კონკრეტულ სფეროებზე;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#48, 21.02.2019.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 - ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0102, პაატა სააკაძისქ.1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის განხილვა. აღნიშნული პროგრამის შეფასება განხორციელდა პროგრამაში ვიზიტის გარეშე, პროგრამა მოქმედებს 2011 წლიდან, იგი განახლდა 2018 წელს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და აკრედიტებულია 2019 წელს 7 წლის ვადით. პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. რეკომენდაციები გაცემულია სამ კომპონენტთან მიმართებით, 1.2 კომპონენტი, 2.3 კომპონენტი და 2.6 კომპონენტი. რეკომენდაციები მომზადებულ იქნა შეფასებასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე დაყრდნობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2

- გათვალისწინებულ იქნას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონის - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, შესაბამისად სწავლის შედეგები აღიწეროს შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა; - აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ახსნა, რომ სწავლის შედეგები მოდიფიცირებულ იქნა საანგარიშო პერიოდის მანძილზე, მოხდა სწავლის შედეგების გამსხვილება, გამოყენებულ იქნა აქტიური ზმნები სწავლის შედეგების ფორმულირებისას და თითოეული სწავლის შედეგი შეესაბამება ცოდნა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობას, თუმცა მოქმედი ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია ძალაში დარჩა, რადგან იყო რამდენიმე სასწავლო კურსი, სადაც ძირითადად ცოდნა-გაცნობიერების ნაწილშიც ძირითადი ფორმულირება არის უნარების სახით და არ არის ხაზგასმული კურსის ფარგლებში დაგროვილი ცოდნა;

კომპონენტი 2.3

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში წინაპირობის განსაზღვრა;

• რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება სამი კომპეტენციის მიხედვით და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
• რეკომენდირებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წყაროებით; - დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაციები;

კომპონენტი 2.6
• უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის შედეგების შეფასება სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებით;
• დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები (ქულობრივი რანჟირება), ყურადღება გამახვილდეს უნარების შეფასებაზე;
• განისაზღვროს გუნდური მუშაობის დროს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანმა, გიორგი მახარაშვილმა, განაცხადა, რომ ეს არ იყო აკრედიტაციის პროცესი, ეს იყო ახალ ჩარჩოზე გადაწყობის პროცესი, რამაც გამოიწვია რამდენიმე აცდენა ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების შეხედულებების შესახებ, აღნიშნულ პროცესში მოხდა გარკვეული დოკუმენტაციის შესწავლა და არა მთლიანი დოკუმენტაციის, აქედან გამომდინარე სწორედ რამდენიმე რეკომენდაციას ვერ დაეთანხმა, რადგან დოკუმენტაცია არ იყო სრულად შესწავლილი, მაგ., როდესაც ექსპერტი საუბრობდა შეფასების ნაწილზე გამოყოფილ იქნა სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდათ მიღებული სრული დოკუმენტაცია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში კავკასიის უნივერსიტეტს დეტალურად აქვს აღწერილი თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა, სამაგისტრო ნაშრომის დებულება კი საერთოდ არ იყო მოთხოვნილი ჩარჩოზე გადაყვანის პროცესში, პროფესიულ პრაქტიკაში აქვთ ცალკე ფორმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ როგორ ფასდება, როგორც უნივერსიტეტის შიგნით ასევე იმ დაწესებულების მიერ, სადაც იგზავნება სტუდენტი. აღნიშნული ნაწილი განსასაზღვრია, რადგან ეს არ იყო აკრედიტაციის პროცესი აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა წვდომა მთლიან დოკუმენტაციაზე, მითუმეტეს არ ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად შეხვედროდნენ/გასაუბრებოდნენ და დაწესებულების პოზიცია მოესმინათ.
სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რომელ კომპონენტზე საუბრობდა სკოლის დეკანი.
კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანმა განმარტა, რომ საუბარი იყო 2.6 კომპონენტზე, სადაც საუბარი იყო, როგორც სამაგისტრო ნაშრომზე, ასევე კვლევის პრაქტიკაზე და სხვა.
„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ ვერულავამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, გარკვეულ კურსებზე სწავლის შედეგებში არ იკვეთება სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის ნაწილი, რადგან აღწერილია ძირითადი უნარები, რეალურად სილაბუსში გამოყოფილად წერია ცოდნა-გაცნობიერება, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, დეტერმინანტები, ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების ცოდნა, დედათა და ბავშვთა პოლიტიკის შემმუშავებელი პრინციპები, იდენტიფიცირება, მათთვის გაუგებარია, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამის გარდა. ასევე მითითებულია საგნის წინაპირობები, სადაც აღნიშნულია, რომ „ეპიდემიოლოგიას“ უნდა ჰქონდეს პრერეკვიზიტი „ჯანდაცვის პოლიტიკა“ და ა.შ. თვითონ არის „ჯანდაცვის პოლიტიკის“ კურსის ხელმძღვანელი, ერთადერთი წიგნიც გამოსცეს საქართველოში, სადაც არის საკითხები, რომლებიც ეხება ბისმარკის მოდელს, სინგაპურის მოდელს და სხვა, დახასიათებულია სისტემები, ეს არ არის აუცილებლობა „ეპიდემიოლოგიისათვის“, რადგან ეს არის ინფექციური დაავადებები, ეპიდ. აფეთქებები, რომლებიც ცალკე კურსია, შესაბამისად „ჯანდაცვის პოლიტიკა“ როგორც ცალკე კურსი წინაპირობად არ არის საჭირო, ოქსფორდსა და ნიუ იორკის უნივერსიტეტებში პრერეკვზიტი არ

აქვს წინაპირობად „ჯანდაცვის პოლიტიკა“, მას არსად უნახავს ქართულ უნივერსიტეტებში, რომ „ჯანდაცვის პოლიტიკა“ ყოფილიყო წინაპირობა, რადგან „ეპიდემიოლოგია“ არის დაავადებათა გავრცელება. გამოყენებითი სტატისტიკის მონაცემთა ანალიზის შესახებ განაცხადა, რომ ეს არის კვლევით საკითხთან მიმართებით, ეს არის SPSS-ის კურსი, სულ სხვა არის „კვლევის მეთოდები ჯანდაცვაში“, სადაც განიხილება კვლევის დიზაინის საკითხები და არა SPSS, რაც ამის შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე რთული კურსია და ყველაზე ბოლოს ისწავლება. მისი თქმით სილაბუსებში გაწერილია ყველა ქულა, პრეზენტაცია, კვლევის ქულა და ა.შ., რამდენი ქულა რაში მიენიჭება, რაც შეეხება გუნდურ მუშაობას ეს სპეციალურად ჩადეს, რათა კვლევითი ნაწილი მეტად გაემტკიცებინათ, ამ დროს ჩადებულია შემდეგი ფრაზა შეფასება არის ინდივიდუალური სტუდენტისათვის, ეს არის კურსის ბოლოს სტუდენტები მუშაობენ კვლევით პროექტზე შემდეგ გამოაქვთ სემესტრის ბოლოს, დაწესებულებას აქვს კონკურსი და სპეციალური ჟურნალი „ჯანდაცვის ეკონომიკა, სოციოლოგია და პოლიტიკა“, სადაც ათავსებენ შერჩეულ კვლევით პროექტებს, სტატიებს, შემდეგ მას თარგმნიან და დაახლოებით 20-მდე კვლევითი პროექტია სტუდენტთან ერთად გაკეთებული რომელიც დაიბეჭდა Scopus-ის ბაზაში სტუდენტთა გვარების მიხედვით, იქ ხდება ინდივიდუალური შეფასება.

ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ მას არ უნდა გამოჩნდეს, რომ ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციების შემუშავების მიზანი, პირველ საკითხთან დაკავშირებით ცოდნა-გაცნობიერებაში შედეგები ფორმულირებულია, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში, მაგრამ სწავლის შედეგები ფორმულირებულია, როგორც უნარი და არა როგორც საკითხის ცოდნა, მაგ., „ადგენს დედათა და ბავშვთა პრობლემის იდენტიფიცირებას“, ამაზეა საუბარი, რომ გაიწეროს რა ცოდნა აქვს, ისე იყოს სწავლის შედეგი გაწერილი, რომ შეესაბამებოდეს, უნარებიც და ცოდნა-გაცნობიერებაც გაწერილია მსგავსად, აანალიზებს, ახდენს. რაც შეეხება „ეპიდემიოლოგიის“ სწავლებას აქ არ არის პროგრამის ხელმძღვანელის ან რომელიმე განმახორციელებლის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა, არამედ თვითონ კურსის შინაარსიდან, მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა აღნიშნული რეკომენდაცია, გასაგებია, რომ შესაძლებელია „ეპიდემიოლოგია“ ჩაითვალოს ისეთ პროგრამად, რომ მას არ სჭირდებოდეს წინაპირობა, მაგრამ რაც წერია აღნიშნული კურსის მიზანში/შინაარსში, სილაბუსი ამბობს, რომ მას სჭირდება პირველი სემესტრიდან ესა თუ ის კურსი, არსებობს ჩანაწერი, რომ „ჯანდაცვის პოლიტიკაში“ მიღებული ცოდნის გაღრმავებას ახდენს შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის, სწორედა ამიტომ გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია, აღწერილობა და მტკიცებულებები მოყვანილია კომპონენტის აღწერაში და არა რეკომენდაციაში, ეს არ არის ყველა სილაბუსში, არის რამდენიმე და სწორედ ამიტომ არის შეფასებული, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, თუ პროგრამის პრობლემა იქნებოდა განსხვავებულად შეფასდებოდა.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტმა გააჟღერა ის, რაც 2.3 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა წამოწია და გამოვიდნენ სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, იგივე არის სილაბუსშიც „კვლევის პრაქტიკუმი ჯანდაცვაში“, რომელიც სწავლების მეორე სემესტრში ისწავლება, შედეგი მოიცავს აანალიზებს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას აძლევენ პირველ სემესტრში, აქედან გამომდინარე, გამოიტანეს კომპონენტი 2.3, რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს იმ სილაბუსებით/პროგრამით, რომელიც გადაეცათ ექსპერტებს და შესაბამისად აქ არის სტუდენტისთვის მეტი გამჭვირვალობა საჭირო, მაგ., 15 ქულამდე ფასდება რაღაც კომპონენტი და ა.შ. ინდივიდუალური/ჯგუფური შეფასების შესახებ მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს, რომ ახორციელებენ აღნიშნულ კომპონენტს, რადგან ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაწილია ჯანდაცვის შემთხვევაში, თუმცა, როდესაც სრულდება სასწავლო კურსი, სტუდენტები ჯგუფურად ამზადებენ პრეზენტაციას და ერთ-ერთი წარადგენს, შეფასების კრიტერიუმებში გაწერილია იმ ერთი სტუდენტის და არა გუნდში მუშაობის კრიტერიუმი, რაც გამოკვეთა ექსპერტთა ჯგუფმა.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ ვერულავამ, განმარტა, რომ ყველა ერთად წარადგენს, ყველა ერთად გადის პრეზენტაციაზე და ყველას შეფასება ხდება.
ექსპერტის, ჯილდა ჭეიშვილის, თქმით, შესაძლებელია სილაბუსში იკითხებოდა ასე და გასასწორებელია ტექნიკურად, ჩაემატოს აღნიშნული წინადადება. ასევე დაინტერესდა თუ რას ნიშნავს შეფასება 6-დან 10 ქულამდე, როდის რა ქულას ღებულობს, ყველა სილაბუსში არ არის, მაგრამ ზოგიერთში არის.
„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ ვერულავამ, განმარტა, რომ 3 ქულა არის კარგი, დამაკმაყოფილებელი, არა დამაკმაყოფილებელი და გაწერილია 3, 2, 1 ცალ-ცალკე, უმთავრესად ცხრილების სახით არის გაწერილი, თუ არ არის რაიმე სპეციფიკური,
ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, დაადასტურა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ნათქვამი. იგი დაინტერესდა, სპეციფიკურის შემთხვევაში, თუ რანჟირება არის 11-დან 15 ქულამდე, რას ნიშნავს.
კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით განიხილება პროგრამის ახალ ჩარჩოზე გადაყვანა, რაც შესრულებულია, პროგრამა გადაყვანილია ახალ ჩარჩოზე, გაწერილია გაზომვადი ზმნებით, რაც შეეხება ქვესათაურების გაკეთებას, არის თუ არა გაკეთებული ეს დიზაინის/გემოვნების საკითხია, ზოგს აქვს ცალ-ცალკე გამოტანილი, ზოგს არა. რაც შეეხება შეფასების ფორმებს პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია, რომლის პროცესშიც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია კითხვები, რადგან ცალკე/დამატებით რამდენიმე დოკუმენტში არის გაწერილი, სამაგისტრო დებულებაში დეტალურად აღწერილი/გაწერილია თუ რისგან უნდა შედგებოდეს ქულები, ასევე შემუშავებულია სხვადასხვა საგნისთვის ცალკე ფორმები. ეს არ იყო აკრედიტაციის პროცესი, იყო კონკრეტული მოთხოვნა თუ რა უნდა გადაეგზავნა დაწესებულებას, ახალ ჩარჩოზე გადაწყობისთვის, რაც გადააგზავნეს და ამიტომ დარჩათ ასეთი შთაბეჭდილება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ეპიდემიოლოგიის“ ანოტაციაში უწერიათ, რომ განიხილება ეპიდემიოლოგიის ფუნდამენტური პრინციპები, კვლევის მეთოდები, მონაცემთა შეგროვება, მათი სანდოობა, არ არის აუცილებელი, რომ „ჯანდაცვის პოლიტიკა“ იყოს წინაპირობა, რადგან უფრო სხვა საგანია, ვიდრე საზოგადოებრივი ჯანდაცვა და არ მოითხოვს.
ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განმარტა, რომ შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ახდენს ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და განახლებას“, სილაბუსის შედეგი იკითხება ასე, აღნიშნული ფართო დისციპლინაა, შესაძლებელია რაღაცას მოიცავდეს, რაღაც ჩადონ ან არ ჩადონ, მაგრამ მათი სილაბუსის სწავლის შედეგი მოითხოვს ამას.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს იყოს ერთ-ერთი პუნქტი.
ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, დასძინა, რომ საუბარია ბოლო პუნქტზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მის გარდა არის 10 თუ 19 პუნქტი, სადაც ნახსენები არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ, რადგან დაწესებულების წარმომადგენელმა ცოტახნის წინ 2.3 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციაზე გაამახვილა ყურადღება, რეკომენდაციის საფუძველი გახდა ის, რომ რუბრიკების სახით არ არის დაჯგუფებული, თუ თვლიან, რომ ფორმულირებები არ არის მოცემული გაზომვადი ზმნებით, რადგან დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მოცემულია თუ როგორ აქვთ გაკეთებული, თუმცა აღნიშნული პასუხი არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ პროგრამა ნამდვილად შესაბამისობაში მოყვანილია კვლიფიკაციების ჩარჩოსთან, თუმცა რიგ სილაბუსებში, როდესაც გაწერილია სწავლის შედეგები, გაუმჯობესებულია, როგორც უკვე აღნიშნა ცოდნა-გაცნობიერება იკითხება, როგორც უნარები, შესაბამისად უმჯობესია, რომ იყოს გამიჯნული, ის ცოდნა, რომელიც დაგროვდება

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ. დაჯგუფება უმეტეს შემთხვევაში არის, სწორედ ამიტომ არ არის შეფასებული, როგორც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, არამედ შეფასებულია, როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, იმ რიგი შემთხვევების გამო.
კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანმა, გიორგი მახარაშვილმა, განაცხადა, რომ ეს არის დიზაინის საკითხი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებმა ასე აღიქვეს/დაწერეს, რაც არ ნიშნავს, რომ პროგრამა არ არის გადაყვანილი ახალ ჩარჩოზე.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის განცხადებით, თუ სწორად გაიგო ექსპერტების შენიშვნა მიმართულია იქით, რომ ზოგიერთ სილაბუსში ცოდნა-გაცნობიერება და უნარები ზოგიერთ სილაბუსში გაწერილია ცალ-ცალკე ზოგიერთში კი ინტეგრირებულია. ექსპერტის კომენტარი კი, რომ „აანალიზებს“, „ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას“ და ა.შ. თუ ინტეგრირებულად არის ცოდნა-უნარები, რაც უნივერსიტეტის გადასაწყვეტია, სადაც არ არის ჩაშლილი, ეს არის ძირითადი არსი, რადგან უნივერსიტეტს შეუძლია ორივენაირად გაწეროს, თუ იმაზეა საუბარი, რომ ცოდნა საერთოდ არ ჩანს მას ცოტა გაუჭირდება დათანხმება, რადგან თუ აანალიზებს, ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, ჯერ უნდა იცოდეს პრობლემა, რადგან ცოდნის გარეშე ვერ გაანალიზებს. დაინტერესდა რომელ მხარეს არის შენიშვნა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი რომ ზოგგან ცალ-ცალკეა და ზოგგან ერთად თუ რა იგულისხმეს.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა ეხებოდა, როგორც პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე სილაბუსების სწავლის შედეგებს, პროგრამს სწავლის შედეგებში კი რუბრიკები საერთოდ არ არის, ერთიანად არის მოცემული, შესაბამისად გამოდის, რომ რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსების სწავლის შედეგებს, რადგან რუბრიკის ქვეშ მათი მოსაზრებით არასწორად იყო მითითებული შედეგი.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ აქ არის ორი მოცემულობა, პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის ცალკე გამოტანილი და დაწესებულება ადასტურებს, რომ მათი გადასაწყვეტია, მთავარია იფარება სამივე მათგანი, მაგრამ იქ სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელმა გადაწყვიტა, რომ ჩაეშალა, გამოტანილია ცოდნა და უნარები ცალ-ცალკე, იქ გაჩნდა რეკომენდაცია, რომ ცოდნა ფორმულირებულია, როგორც უნარები.
„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ცოდნა-გაცნობიერება ეხება ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებს, დეტერმინანტებს იმის ზემოთ კი წერია რა საკითხებია, ოჯახის როლი და სხვა. ქვემოთ უბრალოდ წერია, კურსის მიზანშია გატანილი ყველა საკითხი, რასაც იძენს და შემდეგ არის აანალიზებს და ა.შ. ქვედა ნაწილში თავიდან არ გაიმეორეს, რომ არ გაებერათ სწავლის შედეგები, რაც ასევე დიზაინის საკითხია
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულების გადასაწყვეტია, როგორ გაწერს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.2, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია

შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 2.6, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობა;

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება ან 3 კომპეტენციის მიხედვით ან ინტეგრირებულად;
2. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება უახლესი წყაროებით;
3. სასურველია რიგ სილაბუსში დაზუსტდეს გუნდური მუშაობის დროს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები.

გადაწვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

18:50 საათზე საბჭო დატოვა ნინო ინასარიძემ.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანთათვის /

		სომხურენოვანთათვის / აფხაზურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-4
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისის თავისუფალი აკადემია, ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი

შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ შპს თბილისის თავისუფალმა აკადემიამ გამოთქვა სურვილი მოემზადებინა „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის ახალი და კერძო უნივერსიტეტს გაუჩნდა სურვილი შეემუშავებინა აღნიშნული პროგრამა, ეს არის 60 კრედიტიანი პროგრამა. პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი, აფხაზურენოვანი) სკოლა და სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში. პროგრამის შესახებ გაიწერა 12 რეკომენდაცია და 3 რჩევა. რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხებოდა პროგრამის სტრუქტურასა და მის შინაარსს, პროგრამის ძირითადი ნაწილი შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან. რეკომენდაციები ძირითადად იყო განმავითარებელი, რომ პროგრამა უკეთესი ყოფილიყო. მეტად ყოფილიყო სტანდარტებთან შესაბამისობაში. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციები და მზად არის პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში გაიზიაროს ისინი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ რამინაშვილმა, დაადასტურა ინსტიტუციის განსაკუთრებული ინტერესი პროგრამის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ იქნება პროგრამის ის სტატუსი, რაც სხვა პროგრამების შემთხვევაში იგულისხმებოდა, არამედ ეს თავად საგანმანათლებლო პროცესთან ერთად სახელმწიფოებრივი დატვირთვის/ნიშნულის მქონე ასპექტია და ფიქრობენ, რომ მათი ძალისხმევა გაასმაგებული იქნება ამ პროგრამის განხორციელების პროცესში, რადგან არ შემოიფარგლებიან მხოლოდ იმით რომ მსურველებს აძლევენ განათლებას. მისი თქმით დაწესებულება ეთანხმება ყველა რეკომენდაციას, რადგან ძირითადი რეკომენდაციები იყო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, ეს არის პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად სიახლეებს განვითარების პროცესში იძენს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ კარგი პროგრამაა, რადგან დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია და ასევე გადაუხადა მადლობა ექსპერტებს რეკომენდაციებისთვის, ვინაიდან ყველა რეკომენდაცია ღირებულია და მიმართულია პროგრამის გაძლიერება/განვითარებისკენ. მან მიმართა დაწესებულებას და დასვა კითხვა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, თუ რას გეგმავდა ინსტიტუცია აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან და გაზრდასთან დაკავშირებით პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
რექტორმა, სალომე პირველმა, განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია ღირებულია, დაწესებულება ეთანხმება და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში გაითვალისწინებენ. მისი თქმით მუდმივად ზრუნავენ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, გეგმავენ კონკურსის გამოცხადებას და პერსონალის აყვანას, თუმცა დღეის მდგომარეობით ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ჰყავს პროგრამას სრულად საკმარისია და მდგრადობის პრობლემა არ დგას. მარიამ რამინაშვილი აღნიშნულ დაწესებულებაში უკვე მეოთხე პროგრამის ხელმძღვანელია და წინა სამ პროგრამასთან დაკავშირებით ეს პრობლემა არ დამდგარა, მათ გაიარეს უპირობო აკრედიტაცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ რამინაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობენ მარნეული, ბოლნისი, წალკის სკოლებთან და იმ პედაგოგებთან, რომლებიც

სახელმწიფო პროგრამით არიან შერჩეული საგანმანათლებლო სფეროში, როგორც „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთვის“ გამოცდილებით, შესაბამისად პროგრამა ძირითადად ამ ადამიანებზე დაყრდნობით იქნება, სამივე არის ასეთი ტიპის პროფესიონალი, ლიდერთა სკოლის პანელის მთავარი წარმომადგენელი და ამ პროგრამით მოხდება დამატებითი პერსონალის შევსება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:05
დასრულების დრო: 19:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში აისახოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით ენის ფლობის რომელ საფეხურს ითვალისწინებს პროგრამა. ასევე, სწავლის შედეგებში აისახოს ენის ფლობის ოთხი კომპონენტის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) კონკრეტული ასპექტები და მახასიათებლები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო/არჩევითი დარგობრივი კურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მომზადება დარგბრივი ენის მიხედვით შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამების შესაბამისად;
3. რეკომენდებულია, სილაბუსებში შესასწავლ საკითხებთან/თემებთან ერთად მითითებული იყოს შესაბამისი თემისათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი;
4. რეკომენდებულია, საგნები: „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1“ და „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2“ გადამუშავდეს და სასწავლო მასალა დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარება“ ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით;
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „წიგნიერება“ ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით;
7. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება“ ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით;

8. რეკომენდებულია, საგანი „ფუნქციური წერა“ გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული საბაკალავრო საფეხურის საგანთან “აკადემიური წერა” დუბლირება;
9. რეკომენდებულია, საგანი „ფუნქციური წერა“ დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და საჭიროებებს, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით;
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: „ინტერკულტურული უნარების განვითარება” და “მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ გადამუშავდეს ერთ საგნად, ან მოხდეს ამ საგნებში თემატიკების გამიჯვნა დუბლირების თავიდან ასაცილებლად;
11. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით);
12. რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელმა დააკმაყოფილოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კვალიფიკაცია;
13. აფილირებული აკადემიური პერსონალით;

რჩევები:

1. სასურველია, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ეგიდით გამომავალი ჟურნალის “მომავლის ლიდერი” ერთი ნომერი, ან მუდმივმოქმედი რუბრიკა დაეთმოს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს, გამოწვევებსა და წარმატებულ მაგალითებს.
2. სასურველია, მეტი შესაძლებლობა მიეცეთ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში, ღონისძიებაში, კონფერენციასა და კვლევაში;
3. პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, გარე შეფასება განხორციელდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, მათ შორის, პროგრამის შინაარსისა და ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		ფილოსოფია

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული - 2018 წლის 27 აგვისტოს № 56 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, უნივერსიტეტის I კორპუსი,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჯოჯუამ, განაცხადა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 4 ნოემბერს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. გადამოწმდა 7 სამაგისტრო ნაშრომი. ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ ვითარებაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება შეფასება - ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები; რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან.
მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მისაღებ გამოცდაზე შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შეიმუშავეს ვიზიტის შემდგომ და ვერ მოხდა მისი გათვალისწინება და რეკომენდაცია დარჩა უცვლელად. დაწესებულებამ გაიზიარა მეორე რეკომენდაცია. მესამე რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების მიერ მითითებული, ნამდვილად გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ სემესტრში ჩაბარებას, მაგრამ მოყვანილი ორი მაგალითიდან ერთი ეხებოდა უკვე შეფასებული ნაშრომის განმეორებით გადაბარებას და მეორე ეხება განსაკუთრებული პირობების არსებობას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ით გათვალისწინებულია ყოველ პირობის გარეშე პირველი შეფასება, რომ შესაძლებელია იმავე ან მომდევნო სემესტრში, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს იმ რეკომენდაციებისათვის, რომლებიც პროგრამის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას უზრუნველყოფს, აქედან გამომდინარე დაწესებულება აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას გაითვალისწინოს და არსებითად გაიზიაროს გამოთქმული რეკომენდაციები. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ შეფასების კრიტერიუმების მუდმივი დამუშავების და დახვეწის პროცესი სწორედ გამჭვირვალობასა და ობიექტურობას ისახავს მიზნად. იმის გათვალისწინებით, რომ ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა მომავალი სასწავლო წლიდან აგრძელებს განხორციელებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებითი მასალების მოთხოვნისას

სპეციალობის მისაღები გამოცდის ბილეთის სამუშაო ვერსია იქნა გადმოგზავნილი, აქცენტი საილუსტრაციოდ საგამოცდო თემებზე და წყაროებზე იყო გაკეთებული. ამ ეტაპისთვის, დააზუსტეს მისაღებ გამოცდაზე ქულათა მინიჭების კრიტერიუმები, რომლებიც მათ არგუმენტირებულ პოზიციაში არის წარმოდგენილი. მეორე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით რეკომენდაცია გასათვალისწინებელია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოყვანილი პრინციპი სახელმძღვანელო პრინციპი იყო პროგრამაზე მუშაობის პროცესში და წარმოდგენილ სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი ყველა შეფასების კრიტერიუმი, რიგ სილაბუსებში შეფასების ზოგიერთი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი თან ერთვის სასწავლო გეგმას. მაგ., „პრობლემებზე დაფუძნებული დისკუსიის შეფასების კრიტერიუმი“. რიგ სილაბუსებში შეფასების ზოგიერთ კომპონენტში (მაგალითად, „არგუმენტირებული ესსე“ - 10ქ.) შეფასების კრიტერიუმები წილობრივი განაწილების პრინციპით არის დალაგებული. ამ კონტექსტში თავიდან აირიდეს სრული უნიფიცირება და ასევე იხელმძღვანელეს აკადემიური თავისუფლების პრინციპით. თუმცა, სრულიად შესაძლებელია, შეფასების კრიტერიუმების ერთიან ფორმაში მოქცევა და რუბრიკების დაზუსტება. დაწესებულების წარმომადგენლები ასევე დაეთანხმნენ მესამე რეკომენდაციას, დაწესებულებას უკვე შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მირ დამტკიცებული აქვს ბსუ-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც დეტალიზებული/ფორმალიზებულია სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადების დაცვის პროცედურები, ასევე გათვალისწინებულია ის გარემოება რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, განმეორებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, წესი დამტკიცებულია ვიზიტის შემდეგ, შესაბამისად ვერ იქნა გათვალისწინებული დასკვნის წერისას. აქედან გამომდინარე დაწესებულება აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლალი ზაქარაძე, დაეთანხმა პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილ რეკომენდაციებს, დაწესებულებამ თავიდანვე გამოთქვა მზაობა რეკომენდაციების შესრულებისთვის, რადგან აცნობიერებენ, რომ თითოეული რეკომენდაცია/რჩევა ემსახურება პროგრამის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას და წარმატებული, მაღალკვალიფიციური თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განხორციელებას. როდესაც აღნიშნული პროცესი დაიწყო და დაწესებულებამ გადააგზავნა დამატებითი მასალები დაწესებულების წარმომადგენლებმა აქცენტი გააკეთეს უფრო შინაარსობრივ მხარეზე, ვიდრე სხვა ნაწილზე, შესაბამისად ზედაპირულად გაწერეს კრიტერიუმები, შემდეგ კი პროგრამის ხელმძღვანელებმა/განმახორციელებლებმა სამუშაო პროცესშივე დეტალურად გაწერეს, რაც სრულიად გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს წერითი მისაღები გამოცდის გამჭვირვალე შეფასებას, ობიექტურობის დაცვით, შესაძლებელია აღნიშნული კიდევ შეიცვალოს, რადგან ყოველი კრიტერიუმების გაწერა ეფუძნება საკანონმდებლო ცვლილებებზე, დაწესებულება მუდმივად ხელმძღვანელობს იმ პრინციპებით, რაც დადგენილი/შემოთავაზებულია, ასევე აცნობიერებენ იმასაც, რომ აკადემიურ სივრცეში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ელექტრონული პორტალების სახით, ენციკლოპედიების სახით, რომელიც შემდეგ დღეს სრულიად სხვაგვარად გადაალაგებს შეფასების კრიტერიუმებს, მისაღები გამოცდის მოთხოვნებიც შესაძლებელია სრულიად სხვაგვარად დალაგდეს, ამ ეტაპზე დაწესებულებას აქვს თავისი შეხედულება, თუმცა მზად არიან მუდმივად განიხილონ/გაანალიზონ სიახლეები, მათ არ დააყოვნეს და საილუსტრაციოდ მიაწოდეს ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ვერ იქნებოდა მიღებული მხედველობაში. მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაზუსტება, რომელიც ტექნიკურად უფრო მწყობრ ხასიათს, ფორმას მისცემს სილაბუსებს, გათვალისწინებული იქნება პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, თუმცა საგამოცდო დასკვნითი შეფასებების დროს ამ ფორმით შემუშავებული კრიტერიუმებით არასოდეს არ ჰქონიათ შემთხვევა, რომ სტუდენტს ეჭვი შეპარვოდა რომელიმე ნაშრომის არა ობიექტურად შეფასებაში. დაწესებულებას აქვს გამართული ელექტრონული პორტალი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ცალკეულ შეფასების დროს გაკეთდეს კომენტარები,

წინააღმდეგ შემთხვევაში არც იტვირთება ნიშანი, სადაც დეტალურად უთითებს ლექტორი რომელ კომპონენტში, რატომ და როგორ დაიწერა კონკრეტული ქულა, ამიტომ არასდროს არ შეუქმნია პრობლემა შეფასების სისტემას, ერთი შემთხვევაც კი არ ჰქონიათ სტუდენტების პრეტენზიისა. რეკომენდაციები გათვალისწინებულია და დაწესებულება ეთანხმება. მისი მოსაზრებით პროგრამა გამორჩეული, რისი ფიქრის საფუძველსაც აძლევს აქტუალობა, რადგან თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე მორგებული კონცეფციაა, ასევე ძალიან კარგი აკადემიური კორპუსი ჰყავს, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული, მათ სტუდენტებთან ერთად არაერთი პროექტი აქვთ განხორციელებული, ზუსტად იმ მიმართულებით, სადაც კვლევებია მნიშვნელოვანი და საკმაოდ კვალიფიციური ახალგაზრდები არიან, მისი მოსაზრებით კვლევითი კომპონენტიც კარგად არის წარმოდგენილი, სტრუქტურაც მოქნილი და დახვეწილია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მან განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ არა არის დარგის სპეციალისტი, თუმცა უფლებების მიმართულებით გადახედა სილაბუსს, კარგადა არის შედგენილი და პროგრამაც საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი, მისი მოსაზრებით ძალიან კარგი იქნება, თუ აღნიშნული მიმართულება წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო მეთოდებით, როგორებიცაა კაზუსების ამოხსნა, ადამიანის უფლებათა ფილოსოფია, დასაბუთების საკითხები, ქეისებზე „ბრეინ შტორმინგი“ და ა.შ. ძალიან კარგი იქნება თუ სწავლის მეთოდებით უზრუნველყოფენ ამ საგნის სწავლებას. პროგრამა საკმაოდ კარგი პერსონალით არის წარმოდგენილი, შესაბამისად დაინტერესდა თუ რატომ არ ჰყავს უფრო მეტი სტუდენტი, შესაბამისად თუ აქვს ფაკულტეტს რაიმე გეგმა თუ როგორ უნდა მოხდეს სტუდენტების მოზიდვას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ სწავლის შედეგების სხვადასხვა დანართები, რაც პროგრამაშია წარმოდგენილი; კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების ბმა/მიმართება, სადაც სასწავლო კურსები სამ დონეზეა გაწერილი-გაცნობა-გარღრმავება-განმტკიცების კუთხით, სასწავლო კურსებს შორის წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც არასწორია, ვინაიდან არჩევითი სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას, ამიტომ ინსტიტუციამ მომავალში უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდეს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ რამდენად მიღწევადი/გაზომვადია სწავლის შედეგების ასეთი ფორმულირება, რადგან დასკვნაში არაფერია ამის შესახებ. სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეთოდების ჩამონათვალში ფილოსოფიური მეთოდებიც არის შეტანილი, დაინტერესდა ისინი ნამდვილად გამოიყენება სასწავლო პროცესში, თუ განხილულია, როგორც ფილოსოფიური მეთოდები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მისი პირველი კითხვა ეხება შრომის ბაზრის კვლევას, გამოკითხულია 9 დამსაქმებელი, რომელთა შორის არის თავდაცვის სამინისტრო და შემოსავლების სამსახური, დაინტერესდა თუ რამდენად შესაძლებელია ციფრი 9 იყოს რელევანტური და მას ასწავლიდნენ, რომ ბრიტანეთის არმიის პრინციპები დაწერეს ცნობილმა ფილოსოფოსებმა, ისევ ასეა თუ არა.

ექსპერტმა, მიხეილ გოგატიშვილმა, დაადასტურა, რომ დღესაც ასეა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განმარტა, რომ მეორე საკითხი ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს, რადგან ძალიან საინტერესო თემატიკაა, მაგრამ ბოლოში, ერთ-ერთ ნაშრომში დასკვნა წერია, „კვლევამ აჩვენა, რომ საკითხი ისევ აქტუალურია, როგორც იყო“, დაინტერესდა იყო თუ არა ეს კვლევის მიზანი, მეორეგან წაიკითხა „ყველაფერი კარგადაა“, გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად არის ძალიან ძველი, მისთვის გასაგებია, ერთხელ რომ დაწერა დიმიტრი უზნაძემ ვერაფერს ვერ უზამენ, თუ ამ საკითხზე წერენ ის უნდა გამოიყენონ, მაგრამ მის მერე დაწერა თუ არა ვინმემ რამე, არსებობს თუ არა უცხოური წყაროები, მითუმეტეს

ძალიან ბევრი რამე იწერება ინგლისურ ენაზე, წარმოდგენილი ერთ-ერთი ნაშრომი 22 გვერდს მოიცავს, დაინტერესდა არსებობდა თუ არა რაიმე ჩამოყალიბებული პრინციპი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა, ერთ-ერთ პროგრამაზე იყო აღნიშნულ საკითხზე საუბარი, სადაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ძველი წესი, რომელიც არ ვარგოდა და ახლით შეცვალეს, მისი მოსაზრებით აღნიშნული ნაშრომი უფრო ძველი სტილით არის შეფასებული, მაგრამ 22 გვერდი მაინც საეჭვოა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ზაქარაძემ, განაცხადა, რომ პროცესში დაზუსტდა, ეს იყო ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ თუ არსებობს ამის ერთიანი წესი და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა, მაშინ მას უნდა მოეთხოვოს პასუხი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განმარტა, რომ 22 გვერდიანი სამაგისტრო ნაშრომი არის ხარვეზით გადაგზავნილი, სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც დასკანირდა არ იყო სრულყოფილი და შემდგომ გამოსწორდა, თუმცა როგორც ჩანს საბჭოსთან მისული არ არის. საბჭოს წევრის შეხსენების შესახებ მან განმარტა, რომ არ უთქვამს ძველი იყო და არ ვარგოდა, ლიტერატურის გაფორმების ის წესი, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტში მიღებულია 2016 წელს, არსებობს ლიტერატურის გაფორმების სამი მეთოდი და მაგისტრანტს, ბაკალავრს და დოქტორანტს შეუძლია ერთ-ერთი წესის არჩევა და მისი გამოყენება, პრობლემა არის ის, რომ არ ხდება ამ წესის სრულყოფილად გამოყენება სტუდენტების მეირ, რაც შემდგომ უნდა აისახოს შემდგომ შეფასებებში, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომისადმი არსებულ ტექნიკურ მოთხოვნებს გაწერილი იყო ბსუ-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც თავიდან მიიღეს დეკემბერში და დააზუსტეს გაფორმების/წარდგენის წესი, ტექნიკური პარამეტრები და პირდაპირ განსაზღვრეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მინიმუმ 50 გვერდი უნდა იყოს, ამიტომ ამ მიმართულებით არის ერთიანი პოზიცია და ხარვეზები, რომლებზეც საბჭოს წევრმა ისაუბრა არის ის, რომ სრულყოფილად არ იქნა შესრულებული დაწესებულების დადგენილი წესი. შრომის ბაზრის შესახებ მან განაცხადა, რომ გამოკითხულია 9 რესპოდენტი, ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა, შესაბამისად 9 რესპოდენტი მის ვალიდურობას ვერ განსაზღვრავს, თუმცა შრომის ბაზრის წარმოდგენილ დოკუმენტში არის მცდელობა, რომ თვისობრივი კვლევის ელემენტი იყოს ჩართული და წარმოჩენილი საკითხები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნას დადგენილი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ზაქარაძემ „ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის“ შესახებ განმარტა, რომ პირველად იკითხება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მითუმეტეს სამაგისტრო დონეზე, შესაბამისად ამ კურსის განხორციელების პროცესში გამოიკვეთება ბევრი სიახლე, რომლის დანერგვა იქნება საჭირო, დაწესებულებამ გაითვალისწინა ქართულ ენაზე არსებული ყველა პუბლიკაცია, სამეცნიერო კრებული, რომლის საფუძველზეც ეს ძალიან საინტერესო მიმართულება შემოვიდა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, ევროპელ კოლეგებთან ერთად გამოცემული ლიტერატურით, რომელიც მიმზიდველად გამოიყურება, სილაბუსში გათვალისწინებულია ფილოსოფიური სწავლების ყველა მეთოდი, რომელსაც გამოიყენებენ სასწავლო კურსის განხორციელებისას, თუმცა ვინაიდან სასწავლო კურსი პირველად იკითხება დაწესებულება გაითვალისწინებს საბჭოს წევრის მოსაზრებას და შესაძლებელია სხვა სიახლეების დანერგვაც გახდეს საჭირო. სტუდენტების რაოდენობის შესახებ მან განმარტა, რომ წინა სამაგისტრო პროგრამა, რომლის რეაკრედიტაცია მიმდინარეობს ხორციელდებოდა ძალიან მოკლე პერიოდში, 2016-2020 წლებში შესაბამისად იმ საჭიროებებმა დაანახა დაწესებულების წარმომადგენლებს ის ცვლილებები, რომლებიც შემდეგ განხორციელდა, რომ უფრო მიმზიდველი იყოს სტუდენტებისთვის/მაგისტრებისთვის, იმ ციკლის გათვალისწინებით, რომ ძალიან მოკლე პერიოდის შეფასება უწევდათ, სწორედ ეს განაპირობებდა სტუდენტების მცირე რაოდენობას. ამასთანავე, ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა პირველად განხორციელდა 2007-2011 წლებში, შემდეგ 2016-2020 წლებში, ახლა კი

მათი მოსაზრებით, პროგრამა რომლის რეაკრედიტაცია მიმდინარეობს უფრო მიმზიდველი იქნება და შემდგომი თვითშეფასების/აკრედიტაციის დროს გამოსწორდება აღნიშნული სიტუაცია, რადგან დაწესებულებამ გაითვალისწინა სტუდენტთა მოთხოვნები, რომლებიც ბაკალავრიატიდან მოყოლებული დაინტერესებულნი იყვნენ პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებით უნივერსიტეტში და სწორედ ამაზე იზრუნეს. ბაზრის კვლევის მოთხოვებსაც დაეყრდნენ, მათი კურსდამთავრებულების დასაქმების რეალურ მონაცემებს და შესაბამის ინსტიტუციებთან ჰქონდათ კვლევა/ანალიზი ამ მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომების რუბრიკების შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელმაც დიდი უხერხულობა შექმნა აკრედიტაციის სხდომაზე იყო შეცდომა, გასწორდა და შემდგომში უფრო დიდი ყურადღება იქნება დათმობილი ამგვარი ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების მიზნით. მან განაცხადა, რომ სწორედ მაგისტრანტებისთვის საინტერესო საკითხების კვლევამ განაპირობა რიგ შემთხვევაში ახალი სასწავლო კურსების შემოღება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, მარინა გიორგაძემ, სტუდენტების რაოდენობის შესახებ განაცხადა, რომ ზოგადი ტენდენცია არის მატების და არა კლების, რადგან პირველ წლებში არის 3-3 სტუდენტი, შემდეგ 5-5 სტუდენტი, ახლა გათვლაა 10-10 სტუდენტზე, რადგან ბაკალავრიატში გეგმავენ ახალ პროგრამას, რომელსაც წარმოადგენენ მისაღები კონტიგენტის გაზრდას, თუ აქამდე იღებდნენ 10 სტუდენტს 30% მოდიოდა მაგისტრატურაში, შესაბამისად ბაკალავრიატის კონტიგენტის გაზრდა გამოიწვევს მაგისტრატურის კონტიგენტის გაზრდასაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ზაქარაძემ, განმარტა, რომ მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა, თუნდაც იმ ვითარებაში, როდესაც არც ისე დიდიხნის ისტორია აქვს ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, იგივე პროგრამის დამთავრების შედეგად მას ჰყავს არაჩვეულებრივი პროფესორი გიორგი თავაძე, რომელიც რამდენიმე უნივერსიტეტის სრული პროფესორია, ექსპერტის სახითაც არის წარმოდგენილი ცენტრში, გარდა ამისა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული და ორგზის „საბას“ მფლობელია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ მახარაძემ, რაოდენობის შესახებ განაცხადა, რომ ფილოსოფია არ არის პრაქტიკული დარგი, რაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანას ფილოსოფია არ სჭირდება, ეს ტენდენცია ყველგან შეინიშნება, რადგან ფილოსოფია განსაკუთრებული დარგია მას სტუდენტებთან ხშირად უთქვამს, რომ ფილოსოფია ერთადერთი დარგია, რომელიც პრაქტიკული დანიშნულების არ არის, მაგრამ სიღრმეში სულ სხვა მოვლენაა, ფილოსოფია ინტელექტუალური კომფორტია. სხდომაზე ითქვა, სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, მისი მოსაზრებით, დეპარტამენტში გასაკეთებელი აქვთ, გეგმავენ ლექციებს სკოლებში, მაგრამ ამას უფრო ინტენსიური ხასიათი უნდა ჰქონდეს, როდესაც სტუდენტი კითხულობს, რა უნდა გააკეთოს სწავლის დასრულების შემდეგ მას მოყავდა მაგალითი, რომ სხვა თუ არაფერი თავდაცვის/ჯანდაცვის მინისტრი ფილოსოფოსი იყო.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ პრეზიდენტიც იყო ფილოსოფოსი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ მახარაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართულების კურსდამთავრებულების შემდეგ სხვა კუთხით აგრძელებენ განათლებას, საკმაოდ დიდი ტენდენციაა, სხვა ფაკულტეტებიდან გადასვლის, ისინი თავს ბედნიერად გრძნობენ რადგან სხვა სამყაროში შეაბიჯეს. ამას საუბრობს ქართული ფილოსოფიის დიდი ტრადიციების გამო,

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ზაქარაძემ, სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ განაცხადა, რომ ფილოსოფიის ახალი დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვრა/დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები ფილოსოფიაში, თვითონ იყო დარგობრივი საბჭოს წევრი, კამათი შეეხებოდა სწორედ ამ მეთოდებს და მეთოდების სილაბუსებში გამოყენების საკითხი იდგა შემდეგნაირად, რომ ეს არის როგორც სწავლების, ასევე კვლევის მეთოდები. სილაბუსში სადაც აღნიშნული მეთოდებია წარმოდგენილი ხდება მათი გამოყენება, როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვარდო ბერიძემ, არჩევით საგნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, რომ არ უნდა იყოს არჩევითი სასწავლო კურსი, როგორც სწავლის

შედეგის განმსაზღვრელი, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებს დაწესებულება. სწავლის შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასმული იყო აღნიშნული კითხვები, დაწესებულების წარმომადგენლები მიმდინარე პროგრამის მიხედვით, რასაც ახორციელებდნენ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა მოხდა ზოგადად პროგრამისთვისაც, პირდაპირი (მიმდინარე, შუალედური, დასკვნით და საგამოცდო ნაშრომის მიხედვით შეფასება) და არა პირდაპირი (ჩართული პირების გამოკითხვა) შეფასებით, მიმდინარე პროგრამისთვის გაწერილი იყო, რომ ბოლო კურსდამთავრებულების ნაშრომების მიხედვით ჰქონდათ რანჟირება, მაღალი, დაბალი და საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, გაწერილია, რომ როდესაც ციკლი დასრულდება აღნიშნული ანალიზი ექნებათ გაწერილი პირდაპირი შეფასების მიხედვით და ბოლოს, 7 წლის ციკლის დასრულების შემდეგ ექნებათ შეჯამება გაკეთებული, ამიტომ ფიქრობენ რომ გაზომვადია. მეთოდებთან დაკავშირებით, მან განმარტა რომ არის ერთი სასწავლო კურსი „ფილოსოფიის კვლევის მეთოდები“, სადაც ასწავლიან სხვადასხვა მეთოდებს და შემდეგ იყენებენ სასწავლო კურსებში. ქართული ლიტერატურის გამოყენების შესახებ მან განმარტა, რომ სადაც მხოლოდ ქართული პრობლემის კვლევა მიმდინარეობს იქ გამოყენებულია მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა, ყველა სხვა შემთხვევაში გამოყენებული იყო უცხოენოვანი ლიტერატურაც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით და არა სამიზნე ნიშნულებთან. მისი მოსაზრებით შეუძლებელია პროგრამის განვითარება, როდესაც მიზანი შემდეგნაირად არის ფორმულირებული - „განვითარებული აქვს ინდივიდუალური, თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობა“, რაც ვერ იქნება სწავლის შედეგი და ვერც ამის შეფასებას შეძლებენ, თუმცა მეორე ნაწილი - „ფილოსოფიური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირების უნარი“, მარტივად მიიღწევა და ფასდება, რადგან გააკეთებს სამაგისტრო ნაშრომს/რეფერატს, ამაზეა საუბარი. შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით მისი კითხვა გულისხმობდა, რომ ის მეთოდები, რომლებსაც ასწავლიან რამდენად არის სწავლების მეთოდი, კვლევის მეთოდი, რომ არის ეს გასაგებია, მაგრამ რამდენად არის სწავლების მეთოდი, თუ დარგობრივ დოკუმენტში ასეა გაწერილი ამ შემთხვევაში საბჭოს წევრმა მოხსნა კითხვა.
ექსპერტმა, მიხეილ გოგატიშვილმა, განაცხადა, რომ დარგობრივ საბჭოში მიმდინარეობდა განხილვა შესულიყო თუ არა დარგობრივ დოკუმენტში ზემოაღნიშნული მეთოდები, თუმცა ეს იყო მათი უცხოელი კოლეგების რეკომენდაცია, რომ შესულიყო, როგორც სწავლების მეთოდი, რადგან მისი სწავლება სხვანაირად შეუძლებელია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ზაქარაძემ განმარტა, რომ თუ ტექსტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს აღიარებენ, მითუმეტეს სამაგისტრო დონეზე, მაშინ სხვა გზა არც აქვთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:15
დასრულების დრო: 20:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.2, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 3.2, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების ის დანართები, როგორიცაა კურიკულუმის რუკა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან ბმის რუკა, რომლებშიც სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად მოცემულია ასევე არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას, აქედან გამომდინარე, მათი ასახვა ამ დოკუმენტებში არარელევანტურია;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
3. რეკომენდებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
4. შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები; რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
6. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან;
7. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით;

რჩევები:

1. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა;
2. სასურველია პროგრამის მიზნების ლაკონურად ფორმულირება;
3. სასურველია დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა;
4. სასურველია პროგრამის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით პროფესიული ინგლისური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ, გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში;
5. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები ფორმულირდეს გაზოვადი ზმნებით;
6. სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება;

7. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
8. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით, სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
9. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება მათი დაინტერესების მიზნით;
10. სასურველია სათანადოდ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა განმავითარებელი უკუკავშირი, მიმდინარე აქტივობებზე, შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე;
11. სასურველია ფაკულტეტის მხრიდან გააქტიურდეს კონფერენციებისა და ტრენინგების დაგეგმვა დისტანციურ ფორმატში ან/და კოვიდ რეგულაციების დაცვით;
12. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯები;
13. სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები;
14. გაუმჯობესდეს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდეს ამ საკითხის მონიტორინგი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

20:50 საათზე საბჭო დატოვეს ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა / Public Relations
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.09.2012 გადაწყვეტილება №524
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი / Bachelor of Public Relations
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მარკეტინგი და რეკლამა / Marketing and Advertising, 0414
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №77 თბილისი, კორპ №6, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გვიანიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობები“ მიეკუთვნება სფეროს, რომელშიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება და ტრადიცია - 1995 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობების პირველი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში, რაც არის პროგრამის ძლიერი მხარე, რადგან დაწესებულებას აქვს აღნიშნული პროგრამის განხორციელების უწყვეტი ტრადიცია, აღნიშნულ პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის უწყვეტობა და პროგრამის ეტაპობრივი განვითარების ხედვა, რაც უდაოდ პროგრამის ძლიერი მხარეებია. ზოგადად პროგრამა დადებითად შეფასდა, თუმცა გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც, რაც აისახა რეკომენდაციებში

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით - შეუძლებელია აბსოლუტურად ყველა სილაბუსში შემოწმდეს მითითებული ლიტერატურა, ამიტომ შემთხვევითი შერჩევით მოხდა გადამოწმება, საიდანაც რამდენიმე სახელმძღვანელო არ მოიძებნა, სილაბუსებში მითითებულია თითო სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ რისკს შეიძლება შეიცავვდეს, თუ ეს სახელმძღვანელო ბიბლიოთეკაში არ არის, არავისთვის არ არის გასაკვირი რეკომენდაცია ლიტერატურის შესახებ, მსგავსი რეკომენდაცია 2012 წელსაც იყო გაცემული, რის შემდეგაც დაწესებულებამ ნამდვილად განაახლა, თუმცა ახლაც დადგა იგივე საჭიროება;

2. აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად - შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობას, რაზეც არავინ დავობს, უმეტეს შემთხვევაში შეფასების მეთოდები და კომპონენტები რელევანტურია, თუმცა არის რიგი შემთხვევები, როდესაც შეფასების მეთოდები/კრიტერიუმები ნაკლებად შეესაბამებოდა სასწავლო კურსების სპეციფიკას. მაგ., მსგავსი მეთოდებით იყო შეფასებული „ინგლისური ენა“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობა - სოციალური ფსიქოლოგია“ ყველა შეფასების მეთოდი ემსახურება შედეგის დადასტურებას და უნდა შეესაბამებოდეს შესაფასებელი გარემოების თავისებურებას, სწორედ ეს გახდა რეკომენდაციის საფუძველი;

3. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო გაზიარებული პროგრამის მიზნების-თვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე;

4. უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ - აღნიშნული რეკომენდაციები უკავშირდებოდა პროგრამის პერიოდული მონიტორიგის შეფასების საკითხს და უცხოეთის პროგრამებთან დადარებას, ორივე რეკომენდაცია წარმოადგენს 5.3 კომპონეტის რეკომენდაციებს, პერიოდული შეფასების შესახებ მან განმარტა, რომ პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს, ახლა არის 2022 წელი, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად დაწესებულებამ განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, ექსპერტი არ საუბრობდა

კანონმდებლობებიის მოთხოვნებიდან გამომდინარე ცვლილებებზე, არამედ, რომლებიც მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისკენ, ეს იყო 2016-2018 წელი, ამ პერიოდში ამოღებულ იქნა ძალიან ბევრი სასწავლო კურსი, რომელიც ამ დროისთვის უკვე არარლევანტური იყო, ასევე დაემატა ახალი სასწავლო კურსები შეიცვალა კრედიტები და პროგრამაში გაჩნდა არჩევითი სასწავლო კურსები. ექსპერტთა ჯგუფისთვის საჭირო იყო ენახათ თუ რამ გამოიწვია ზემოაღნიშნული საჭიროება, კონკრეტული სასწავლო კურსის დამატება, ამოღება, კრედიტის შეცვლა, პარალელურად შეისწავლეს დამსაქმებლების გამოკითხვა, რომელიც ძალიან პოზიტიურია, რადგან ყველა კითხვაზე 100%-იანად დადებითი პასუხია, პროგრამა აქტუალურია, შეესაბამება სტანდატის მოთხოვნებს და ა.შ., მაშინ გაჩნდა კითხვა თუ რამ გამოიწვია დამსაქმებელთა რეკომენდაციები, რა იყო ეს რეკომენდაციები და რის საფუძველზე შევიდა ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში, სასწავლო კურსებში და ა.შ. დაწესებულების რეგულაციით გათვალისწინებულია პერიოდული შეფასება, რაზეც ისაუბრა ხარისხის სამსახურმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, მეტი სიცხადისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ითხოვა, რომ დაწესებულებას წარმოედგინა განხორციელებული შეფასებების ანგარიშები ან რაიმე დოკუმენტები, რომელიც ცვლილებების საჭიროებას ადგენდა, დაწესებულებამ წარმოადგინა ორი დოკუმენტი 2013 და 2014 წლის ანგარიშები. არსებობდა ვალდებულება ყველა უნივერსიტეტს წარედგინა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ყოველწლიური, სწორედ ეს ორი დოკუმენტი იყო წარდგენილი, ხოლო მომდევნო 2015-2020 წლებში პროგრამის შეფასების ფაქტი არ დასტურდება შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო, შესაბამისად ვერ დადგინა 2016-2017 წლებში ცვლილების განხორციელების საჭიროებას/რელევანტურობას, რასთან მორგებას ცდილობდა დაწერსებულება, განვითარება ცხადია კარგია, მაგრამ რაიმეს უნდა ეყრდნობოდეს, სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი ადგენს, რომ პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს, რაც არ დადასტურდა. მეორე საკითხი არის პროგრამის დადარება უცხოურ პროგრამასთან, საუკეთესო პრაქტიკის მიზნით, დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტის სახით წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც არ იყო დათარიღებული და მოიცავდა მოძველებულ ინფორმაციას, მითითებული იყო, რომ საქართველოში მუქმედებდა 30 ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, ცენტრის ვებ გვერდზე კი 50-ზე მეტია, არ იყო დათარიღებული, არ დგინდებოდა თუ როგორ იყო დოკუმენტი გამოყენებული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტი იყო მცირე ანოტაციები სხვა დაწესებულებების, დასათაურება, გადასახადი და მცირე მონახაზი, სამწუხაროდ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტს ვერ გამოიყენებდა, როგორც დამადასტურებელ გარემოებას.

მისი თქმით, ზოგადად არცერთი რეკომენდაცია არ არის ისეთ, რომელიც შესაძლებელია განსაკუთრებული სიმძიმის ტვირთს ატარებდეს, ისინი მარტივად შესასრულებელი და განვითარებაზე მიმართულია, ეჭვქვეშ არ აყენებს პროგრამის გუნდის საქმიანობას და მის მოტივაციას პროგრამის განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება, პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტში არსებულ შეფასებას. 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის, ბიბლიოთეკაში ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ როგორც ცნობილია პროგრამის რეაკრედიტაციის პერიოდში ყველა სილაბუსში განახლდა ლიტერატურა და ყველა სასწავლო სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში, მან დასძინა, რომ არ მოიძებნა მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო, თუმცა, როდესაც მეორე დღეს მოიკითხეს აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, მისთვის უცნობია, თუ რატომ ვერ მოხდა მისი მოძიება ვიზიტის დროს, ბიბლიოთეკა ძალიან მდიდარია და ყველა სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია, ამასთანავე, მუდმივად განახლდება სასწავლო ლიტერატურა. 2.6 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის შესახებ, მან განმარტა, რომ „ინგლისურ ენასა“ და „სოციალურ ფსიქოლოგიაში“ არ არის ერთნაირი შეფასება,

„ინგლისურ ენაში“ შეფასება არის ზეპირი გამოკითხვა და ღია კითხვებიანი ტესტი, ხოლო „სოციალურ ფსიქოლოგიაში“ არის ზეპირი გამოკითხვა და ქვიზი, რაც შეეხება შუასემესტრულ გამოცდას ორივე საგანი ბარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში, გარდა ამისა სილაბუსის ავტორი წყვეტს თუ როგორ შეაფასოს კონკრეტული სასწავლო კურსი. პროგრამის დადარების შესახებ მან განმარტა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი სადაც ავტორიზებულ უნივერსიტეტთა რიცხვი 30 წერია, მაგრამ დანართში წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია, თუ რა საერთო კურსებია, მაგ., საზოგადოებასთან ურთიერთობა, მარკეტინგის სტრატეგია, რეკლამა, კრეატიული წერა და სხვა, დადარების დოკუმენტში წერია რა საგნებს სწავლობენ და რა არის განსახილველ პროგრამაზე წარმოდგენილი. დამსაქმებლების შესახებ აღნიშნა, რომ მათ მოდიფიცირებამდე გაეგზავნათ აღნიშნული დოკუმენტი, მათ ურჩიეს, რომ დაემატებინათ სასწავლო კურსები მარკეტინგის, სოციალური მედიის, მენეჯმენტის, მაყურებელთა ქცევის მიმართულებით, იმიჯმეიქინგის ამოღება, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გაითვალისწინეს ყველაფერი და ამის შემდეგ მოდიფიცირდა პროგრამა, შემდეგ ისევ გაეგზავნა დამსაქმებელს, რომელმაც მოიწონა იგი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით მახვილაძის, განცხადებით რესურსებთან წვდომის მიმართულებით სისტემა ისეა მოწყობილი, რომ აბსოლუტურად ყველას თავისი ექაუნთი აქვს სოფთში, საიდანაც იღებს ინფორმაციას და ყველა ელექტრონულ რესურსს, ის ერთი დოკუმენტი ნამდვილად ვერ მოიძებნა, მიზეზი იყო არასათანადო მოძებნა, რომელიც არც ექსპერტების ბრალი არა არის, თუმცა ხელმისაწვდომობა, მაგ., დღეს რომ შემოვიდეს ახალი რესურსი უზრუნველყოფს და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ორი თანამშრომელია გამოყოფილი სპეციალურად ამისთვის, თანამედროვე ტექნოლოგიით ძალიან სწრაფად ხდება რესურსების დიჯიტალიზაცია, ამიტომ ამ კუთხით, ამ მასშტაბის უნივერსიტეტში ეს პრობლემა მოხსნილია, უბრალოდ ეს იყო ერთეული შემთხვევა, რომელიც რეალურად ხელმისაწვდომია. თარიღებზე იყო საუბარი, რომ 2013-2014 და აქ გაიყინა უნივერსიტეტის თანამშრომლობა დაინტერესებულ პირებთან, არის ასეთი ვითარება ბოლო მოდიფიცირება გაკეთებულია 2021 წელს, და 19-20 წელი დახუნძლული იყო დაინტერესებულ პირებთან, გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, იმართებოდა, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ რეჟიმში, მას არ სურს საბჭოს შეექმნას მოსაზრება, რომ ამ კუთხით ეყრდნობოდნენ უსაფუძვლო მოსაზრებებს, სინამდვილეში, რაც განხორციელდა ყველაფრის უკან დგას კვალიფიციური მოსაზრებები. მთლიანობაში ძალიან კარგი დასკვნაა, დაწესებულებას არც აქვს პრეტენზია სრულყოფილებაზე, რადგან მუდმივად აგრძელებენ პროგრამის განვითარებასა და მის გარშემო არსებულ ყველა საჭირო მოქმედებას. შეფასების შესაბამისობასთან მიმართებით მან განმარტა, რომ წარმოდგენილია ის ვერსია, რაც საბოლოო მოდიფიცირებისთვის კონკრეტულმა პერსონალმა მისი სასწავლო კურსისთვის შეიმუშავა, თუმცა ამ კუთხით შესაძლებელია ცვლილებები დასჭირდეთ. კვალიფიკაციასთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ ზოგადად მეორე სვეტში არის განსაზღვრულის საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაცია, რომელიც, როგორც წესი მაგისტრატურისთვის არის განსაზღვრული, ამ შემთხვევაში კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №69/ნ უშუალოდ კვალიფიკაციის მინიჭების ნაწილში უშვებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრის ხარისხი იყოს გათვალისწინებული, შეინარჩუნეს ტრადიცია, რომელიც უკვე 3 ათეული წელია ხორციელდება უნივერსიტეტში და დატოვეს სახელი, რომლის უფლებასაც ზემოაღნიშნული ბრძანება აძლევდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გვიანიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებს დამსაქმებლებთან კომუნიკაციას და მათ კვალიფიკაციას, უბრალოდ მათ ვერ მიიღეს პროგრამის შეფასების რაიმე დოკუმენტი, უბრალოდ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დოკუმენტ, რაც არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება არაფერს აკეთებდა, მან ძალიან ბევრი გააკეთა, უბრალოდ, საუბარია დოკუმენტურ დადასტურება/ასახვაზე იმ საქმიანობის, რომელიც გაკეთდა, დაწესებულების ნება იყო წარმოადგენდა თუ არა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა და აღწერა რაც მიიღეს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ მისი მოსაზრებით იყო ინფორმაციის მიწოდების პრობლემა. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გამოიყენა შესაძლებლობა, როდესაც განაცხადის მიღების შემდეგ რაღაც პერიოდი აქვთ დოკუმენტაციის წარსადგენად, მისი მოსაზრებით ეს ყველაფერი თუ იყო ხელმისაწვდომი ექსპერტებისთვის შრომის ბაზრის კვლევის რეკომენდაციაც მოიხსნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ საქმე აქვთ პრინციპიალურ პრობლემასთან, რომელიც აღწერეს ექსპერტებმა, ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო კვალიფიკაციის მინიჭების წესს, რომელიც სწორია, მაგრამ კლასიფიკატორის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი დეტალური სფეროს მეორე სვეტს განმარტავს, არა როგორც ძირითადად მაგისტრატურას, არამედ, როგორც მხოლოდ მაგისტრატურას, ეს პრინციპიალური საკითხია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №69/ნ-ში უნდა არსებობდეს უშუალო მითითება, რომ ეს იცვლება, რადგან აქ არის აცდენა, 0414 არის მარკეტინგი და რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა არის 0414.2.1, შესაბამისად პროგრამის დასახელება, კლასიფიკატორი და შინაარსი სცდება ერთმანეთს, ერთი სიტყვა ითქვა, რომ დაიწყო 2012 წლიდან შესაბამისად ვინც ამ საკითხში ჩახედულია ყველასთვის ცხადი/ნათელია, ეს ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებასთან ურთიერთობა სხვაგან არის კლასიფიკატორში და არა ახალ კლასიფიკატორში, სადაც არის ბიზნესი და ადმინისტრირება, მაგრამ ვინაიდან ახალ კლასიფიკატორში არის აქ 0414-ში ბაკალავრი ხდება არ უსწავლია: მენეჯმენტის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტი, რაც ძალიან სერიოზული ხარვეზია, ამიტომ არის მეორე სვეტი მხოლოდ მაგისტრატურა, სწორედ ამის პრევენცია იყო, ეს არის ფუნდამენტური საკითხი, რომელიც უნდა დაადგინონ/გაარკვიონ აღნიშნულ სხდომაზე, ამ საბჭოზე ჰქონდათ ასეთივე პრობლემა აღნიშნულ პროგრამაზე, ამიტომ შესთავაზა რთული მდგომარეობიდან ერთად მოეძებნათ გამოსავალი. კლასიფიკატორში პირდაპირ არის ჩანაწერი, რომ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი შეჩერებულია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, 5.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან ექსპერტთა ჯგუფს კითხვები გაუჩნდა, ისიც დაინტერესდა ბენჩმარკინგის დოკუმენტით, რასაც ანალიზი ჰქვია, რომელშიც წარმოდგენილია ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც ბოლო ორი წელია, რაც დაარსდა და ფუნქციონირებს განათლების ბაზარზე, ამიტომ, სავარაუდოდ, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ახალია და რიცხვი 30 უსდ, ალბათ, ტექნიკური ხარვეზია, ასევე ამავე დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, დაინტერესდა, ანალიზისა და ბენჩმარკის შედეგად, რა იქნა გათვალისწინებული იმ 4 ქართული უნივერსიტეტისა და უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კუთხით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ სასწავლო გეგმაშიც და პროგრამის პაკეტშიც დევს „პროექტების მართვა“, გახსნის შემდეგ საერთოდ სხვა სილაბუსია, შესაბამისად „პროექტების მართვის“ სილაბუსი არ დევს და დაინტერესდა რატომ მოხდა ასე. „მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსი, რომელიც წარმოდგენილია ეხება რაღაც საკითხებს ეხება, თუმცა სწავლის შედეგები როგორც გაწერილია ნაკლებად იფარება იმ თემატიკით, არ ისწავლება გადაწყვეტილების მიღების მოდელები და ა.შ. შედეგებში კი გაწერილია. ასევე დაინტერესდა კომუნიკაციასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევებით, რადგან PR-ის პროგრამაა და კომუნიკაციის მართვა ორგანიზაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თვითონ კომუნიკაციის მენეჯმენტი დუბლირებას ახდენს ბევრ სასწავლო კურსთან, მათ შორის მენეჯმენტთან. მას სურდა მოეძებნა ორგანიზაციაში საკომუნიკაციო საკითხების მართვასთან დაკავშირებული საკითხები სად შეიძლებოდა ყოფილიყო დაფარული, მაგრამ ძალიან გაფანტულია, საინტერესო სილაბუსებია, მაგრამ რთულია ლოგიკაზე გაყოლა, რომ გაირკვეს დაიფარება თუ არა ესა თუ ის

უნარი, მაგ., თვითონ ორგანიზაციაში ინტერნალურ/ექსტერნალურ დონეზე კომუნიკაციის აგება, მან ვერ იპოვა. ინტერპერონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგიაში გამოყენებული სახელმძღვანელო პროფესიული დონეა, თუმცა სწავლის შედეგები რაც უნდა იყოს ვერ ფარავს.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განმარტა, რომ ამ დარგის სწავლების ყველაზე დიდი გამოცდილება საქართველოში სწორედ აღნიშულ უნივერსიტეტს აქვს, შესაბამისად ეს გამოცდილება დასაფასებელია. ვინაიდან დარგის თავისებურებიდან გამომდინარე პორტირებული ადამიანები არიან ძალიან ბევრნი, ვისაც არ აქვს თეორიული ცოდნა და თავისით იწყებს მუშაობას, რას აკეთებს დაწესებულება იმისთვის, რომ დაიცვას დარგი, როგორ იცავენ თავს არაპროფესიონალიზმისგან.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ ყველა საკითხი, რაც სილაბუსებს უკავშირდება და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელები უპასუხებენ. საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის კითხვაზე განმარტა, რომ ეს ნამდვილად არის უხერხული მომენტი კვალიფიკაციათა ჩარჩოსი, რომელიც დაწესებულებამ კარგი გაგებით გამოიყენა, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამას შეუნარჩუნეს სახელი და კვალიფიკაცია. დეტალურ სფეროში მეორე სვეტში მითითებულია, რომ გამოიყენება მხოლოდ მაგისტრატურისთვის და არა ძირითადად მაგისტრატურისთვის, რასაც აბსოლუტურად იზიარებს დაწესებულება და იყენებს განსახილველი პროგრამის გარდა, რადგან ამის უფლება მისცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №69/ნ-მა, მის ვერსიაში არის 50-ე გვერდი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ საუბარი იყო 56-ე გვრდზე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საუბარი იყო 0414-ის დეტალური სფეროს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დასახელებების ფორმულირებების შესახებ. „საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებაზე უშვებს, რომ ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით მიენიჭოს“.
სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა გაზიარებული ფაილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №69/ნ-ის საბოლოო ვერსია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაადასტურა, რომ ეს იყო საბოლოო ვერსია. 0414.2.1, რაზეც საბჭოს წევრი საუბრობდა საზოგადოებასთან ურთიერთობა მაგისტრატურისთვის, გამონაკლისია მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეტალური სფერომ, სადაც 0414, დასახელება შესაძლებელია იყოს „ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით“, შესაბამისად სვეტების შეზღუდვა მოხსნილია, საკითხი რომელიც რეგულირდება რამდენიმე სამართლებრივი აქტით, კონკრეტული ნორმა წარმოადგენს ის ნორმა, სადაც საუბარია ბაკალავრის ხარისხის მინიჭების უფლებამოსილებაზე და ის ზოგადი ჩანაწერი, რომ მეორე სვეტი მიემართება მხოლოდ მაგისტრატურას ამ შემთხვევაში არის სახეცვლილად დარეგულირებული, ამ ველში კვალიფიკაცია ენიჭება კონკრეტული სასწავლო კურსების გავლის გარეშე. მისი მოსაზრებით, როდესაც საუბარია 0414-ის ველში, აუცილებელია ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სწავლა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ჩარჩომ მისცა ამის უფლება.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა დოკუმენტის 56-ე გვერდი, საბჭოს წევრი კი საუბრობდა დოკუმენტის მე-2 გვერდზე, სადაც წერია, რომ დეტალურ სფეროში მეორე სვეტი ეკუთვნის მხოლოდ მაგისტრატურას.
სხდომის თავმჯდომარემ დაადასტურა საბჭოს მიერ ნათქვამი.

21:30 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ ნინო იმნაძე, დავით კაპანაძე და ელიზბარ ელიზბარაშვილი, რომელთაც განაცხადეს თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ამ ჩანაწერის არსებობის შესახებ ცნობილია და ექსპერტთა ჯგუფმაც დაწერა დასკვნაში, რომ კითხვა დასვა და შემდეგ მინიჭებიდან ამოვიდა, კლასიფიკატორის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტში არ წერია, რომ სადმე არის გამონაკლისი, მარტო იქ ითვალისწინებენ ან სხვა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არ არის დაწესებულების ბრალი, ეს პრობლემა შექმნა კლასიფიკატორმა და საბჭო მესამეჯერ ეჩეხება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მისთვის ცხადია რაზე საუბრობენ, თუმცა მოცემულ ნაწილში საკითხი დაარეგულირა ორმა ნორმამ, რა გზითაც არ უნდა წავიდნენ ერთგვარი აცდენა ყოველთვის იქნება კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. შესაბამისად კვალიფიკაციის მინიჭების ნაწილში ნორმათა კოლიზიაა, როდესაც ერთიდაიგივე საკითხი სხვადასხვა ნორმებით განსხვავებულად რეგულირდება იურისპრუდენციაში გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, უფრო ახალ გამოცემულ აქტს ეყრდნობა, ამ შემთხვევაში კი გამოიყენეს უფრო კონკრეტული მუხლი, რომელიც ამ კვალიფიკაციას უკავშირდებოდა და არა ზოგად ნაწილს
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ყველაზე ზოგადი არის კონსტიტუცია, როდესაც ორგანული კანონი მოვა წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან რას ექნება უპირატესობა, ზოგადს თუ კონკრეტულს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, განაცხადა, რომ ზემდგომი აქტი არის მნიშვნელოვანი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განმარტა, რომ არ აქვთ ზემდგომი აქტი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეს გასწორებადია ისევ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გვიანიშვილმა, განაცხადა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორი ეყრდნობა ISCED-ს ექსპერტთა ჯგუფმა იქაც ნახა ჩანაწერი, მაგ., ჩეხეთში საზოგადოებრივი ურთიერთობების პროგრამები ხორციელდება საბაკალავრო დონეზე, არსებობს ორი ურთიერთ გამომრიცხავი მდგომარეობა, დასაწყისში ამბობენ უარს, შემდეგ შეიძლებაო, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა საჭიროდ რომ დაეწერათ აღნიშნული საკითხი და მიეყვანათ მსჯელობა ბოლომდე. ISCED არ უთითებს, რომ ეს არის მხოლოდ მაგისტრატურის საფეხური და არსებობს საბაკალავრო საფეხურზე მისი განხორციელების პრეცედენტი.
საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის, მოსაზრებით დაწესებულება აუცილებლად გაივლიდა კონსულტაციას ცენტრთან, აღნიშნული ორი ჩანაწერი ერთმანეთის გამომრიცხავია, დაწესებულებას სთხოვა თუ გაიარეს კონსულტაცია დაეზუსტებინათ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, განაცხადა, რომ გაიარეს კონსულტაცია სხვადასხვა ფორმატში, ცენტრს აქვს პოზიცია ამის შესახებ, თუ შეიცვლება აღნიშნული ჩანაწერები, როგორც შეიცვლება იმის მიხედვით მოუწევთ მუშაობა/ცვლილება, მაგრამ ის, რომ ჩარჩო უშვებს ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას ცენტრის პოზიციაა და არ განსხვავდება დაწესებულების პოზიციისგან. ის რომ ბაკალავრიატში შესაძლებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაციის მინიჭება გამოცდილება არა ერთია მსოფლიოში, ამიტომ აქ საუბარია თუ როგორ ჩამოყალიბდება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აღნიშნული მიმართულება. მისი თქმით უნივერსიტეტში არის ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც ხელში უჭირავს ეს პროგრამა დაბადებიდან (90-იანი წლებიდან), მეორე მიმართულებას ვინც ხელმძღვანელობს არის პრაქტიკოსი, მესამე კი თეორიტიკოსი, პროგრამა შეკრულია ისე, რომ არაფერი დაკლებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ კლასიფიკატორი ეყრდნობა ISCED 2013-ს, საიდანაც არის განსაზღვრული, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის ხარისხი შეულია მიანიჭოს სტუდენტს, რასაც არეგულირებს საერთაშორისო დოკუმენტი. სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს განემარტა კლასიფიკატორის 56-ე გვერდზე არსებული ჩანაწერი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი არეგულირებს დეტალური სფეროს

0414 ქვეშ საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლის სფეროს შესახებ მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ნახსენები საკითხი მართალია დანართი უშვებს გამონაკლის შემთხვევებს და 0414 არ არის ერთადერთი, ამ შემთხვევაში დაწესებულებას ჰქონდა უფლება გამოეყენებინა ეს გამონაკლისი და მიენიჭებინა საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრის ხარისხი.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ეხებოდა თუ არა კონკრეტულ ჩანაწერს.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ეხებოდა 0414-ს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა ლოგიკური ახსნა ჰქონდა, იყო თუ არა ის, რომ ვერ მიენიჭებინათ მხოლოდ სადოქტორო საფეხურზე.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განმარტა, რომ სადოქტორო საფეხურზე ვერ გამოიყენებდნენ, რადგან გამონაკლისი მხოლოდ ბაკალავრზეა დაშვებული.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნულ ნაწილში სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციები არსად არ რეგულირდება, ის ზემოთ არის ატანილი და არ არის ჩაშლილი.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განაცხადა, რომ გამონაკლისების სახით რაც არის დაშვებული ძირითადად საბაკალავრო პროგრამებზეა დაშვებული და გათვალისწინებული/შემუშავებულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, სწორედ ამიტომ არის გაწერილი ის გამონაკლისები, ჩარჩო ეყრდნობა ISCED-ს მაგრამ ISCED არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი ასევე ითვალისწინებს ქვეყნის და საზოგადოების თავისებურებებს.

საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, „პროექტების მართვასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, შემდეგ ცენტრმა მისწერა მათ და გააგზავნეს სწორი სილაბუსი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ მიხვდა ტექნიკური ხარვეზის შესახებ, თუმცა საბჭოსთვის გაზიარებულ პაკეტში, სამწუხაროდ იგივე შეცდომაა.

საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ეკატერინე შაკიაშვილი

პროფესორმა, თინათინ აფხაიძემ, განმარტა, რომ გაითვალისწინეს კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც იყო მოცემული საბაკალავრო პროგრამებში ეს არის რიჩმონდის უნივერსიტეტი, სადაც ხორციელდება საბაკალავრო პროგრამები საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით და კონკრეტული სასწავლო კურსები, მარკეტინგის მიმართულებით, მაგ., მარკეტინგის საფუძვლებიც არის პროგრამაში, მარკეტინგის სტრატეგიაც, მენეჯმენტიც და კონკრეტული სასწავლო კურსები გაითვალისწინეს.

„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, ელდარ პირმისაშვილმა დასძინა, რომ დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნილი იყო სასწავლო კურსი „PR ქეისები“, რომელიც შედარებით პრაქტიკულია და უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული, რაც ასევე დაამატეს ახალ პროგრამაში.

ასოცირებული პროფესორმა, ირაკლი მიქავამ, საკომუნიკაციო უნარების შესახებ განაცხადა, რომ ორგანიზაციული მენეჯმენტის კურსში ორგანიზაციული კომუნიკაციის აბსოლუტურად ყველა ასპექტი ისწავლება. ინტერპერსონალური კომუნიკაციის შემთხვევაში კი ყურადღება გაამახვილეს საქმიანი ურთიერთობის კონტექსტში ინტერპერონალურ კომუნიკაციაზე და არა ზოგადად, შესაბამისად სახელმძღვანელო სწორედ ამ უნარების განვითარებას ეხმარება. გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიები კომუნიკაციის მენეჯმენტის ფარგლებში აბსოლუტურად ისწავლება ის მიმართულება და თეორიები, რომელებიც არსებობს. ასევე, სხვადასხვა კურსშიც არის გაფანტული.

„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, ელდარ პირმისაშვილმა, დასძინა, რომ სასწავლო კურსში „სტრატეგია და ტაქტიკა“, მეორე თემა „რეინ შტორმინგი და კრეატიული აზროვნება“, სწორედ იმას ეხმიანება, თუ როგორ ხდება გუნდის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, თემების გაბნევის შესახებ, დასახელებები ძალიან საინტერესოა და ჩნდება სიღრმისეულად გაცნობის სურვილი. მენეჯმენტის საკითხებში სწავლობს რაღაც, კონკრეტულ თემებს, თუ ეს პროგრამა არ გავიდოდა მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე ამდენი კითხვა ამ მიმართულებით არ დაისმებოდა, საერთოდ მოიხსნებოდა რიგი კითხვები, მაგრამ, რადგან მენეჯმენტის ქუდქვეშ გადის ცოტა სხვა ინფორმაციის დაზუსტებაა საჭირო, სილაბუსებში თემატიკა არის ჩამოთვლილი, თუმცა არ არის გაშლილი, ხელმძღვანელობენ თემის დასახელებით ერთსტროფიანი აღწერით, რაც არის და ლიტერატურით, აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის საფუძვლებში კი სწავლობს, მოლოდინია, რომ ისწავლის ზოგადად რა არის კომუნიკაცია, მაგრამ იყო მოლოდინი რომ შემდეგ უნდა გაღრმავებულიყო საკითხები, კომუნიკაციის მენეჯმენტის სილაბუსში, ნაცვლად იმისა, რომ გაღრმავებულიყო საკითხი, ამის ნაცვლად ხვდება ინდივიდუალური ქცევის მართვა და კომუნიკაცია ორგანიზაციაში, ესეც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ლოგიკურია ისმევა კითხვა, არ ჩანს სად ისწავლება კომუნიკაციის სტრატეგიები. სწორედ ამიტომ სვამს კითხვას, რომ სილაბუსის დასახელება, მის ქვეშ გაწერილი საკითხების დაფარვა წარდგენილი ლიტერატურით შეუძლებელია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ვიწრო სფერო ნამდვილად არის ბიზნესი და ადმინისტრირება, მაგრამ დეტალური სფერო არ არის მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413, დეტალური სფერო არის 0414 მარკეტინგი და რეკლამა, ვიწრო სფეროში ერთიანდება. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს 240 კრედიტში ჩატიოს ის ინფორმაცია რაც პროფესიას სჭირდება, ეყრდნობიან პრაქტიკას, ღირებულ გამოცდილებას და თეორიულ ღირებულ გამოცდილებას. თუ აიღებენ იმ გეზს, რომ მენეჯმენტის მიმართულება ან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულება წარმოდგენილი იმ შინაარსით/სიმძლავრით რაზეც საუბრობენ, დგებიან თეორიულად შეუძლებელი მისიის წინაშე, განიხილება ის, რომ რა თამასაც დადო დაწესებულებამ, როგორ ასრულებს. როდესაც საუბარია პრინციპების ნაწილზე სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მასალა შექმნან, ვერ იქნება სრულყოფილი, მაგრამ მაქსიმალურად ენდობიან აკადემიური თავისუფლების ნაწილში. რასაც ასწავლიან და რა კვალიფიკაციასაც ანიჭებენ საკმარისია კვალიფიკაციის ფორმირებისთვის სათანადო სპეციალისტს უშვებენ შრომის ბაზარზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ საუბარი არ არის თემების დამატებაზე, ყველა სილაბუსი, რომელიც არის გაწერილი, კარგად რომ დალაგდეს და გადაიხედოს ჯგუფის მიერ აღმოჩნდება, რომ შესაძლებელია, მაგ., მოტივაციის ერთ ადგილას სწავლა და სხვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ რომელ ნორმასაც დაწესებულება იშველიებს მას აქვს ხარვეზი „0414 საზოგადოებასთან ურთიერთობა, ორგანიზაციის განვითარება“, ორგანიზაციის განვითარება არის 0413.2.17, ნორმა, რომელზეც დაწესებულება ამბობს, რომ კოლიზიაშია იმ ნორმასთან, არის ხარვეზით, არის თუ არა ისევ ორი ნორმის კოლიზია, თუ არის ნორმატივი, ხარვეზიანი. მისი თქმით უნდა დაგინდეს რა არის პრობლემა, არავინ არ ამბობს, რომ პრობლემა აქვს დაწესებულებას, დაწესებულება ამბობს, რომ დაეყრდნო კონკრეტულ ნორმას, რეალურად, ნორმას აქვს ხარვეზი, ეს რომ არტო ერთი ნორმა იყოს, შესაძლებელია საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა, მაგრამ რა უნდა ქნან ამ შემთხვევაში.
სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ეხებოდა თუ არა მაგისტრატურას საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ისიც მაგისტრატურაშია ჩაწერილი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განმარტა, რომ 0413-ის დეტალური სფეროს სწავლის სფეროებზე არ იყო საუბარი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, ISCED-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ ISCED-ის პირველ ვარიანტზე თვითონ მუშაობდა. ISCED-ში საერთოდ არ არის ჩაშლა, მთავრდება მარკეტინგი და რეკლამით, მერე აძლევს თავისუფლებას, რაც უნდა ის ჩაშალონ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადებით, იურისტებში არსებობს პრეზუმცია, რომ „არ არსებობს ცუდი კანონი", ისევე, როგორც „კანონმდებელი ბრძენია". თუ ჩანაწერიდან კარგს ვერ ამოიღებენ ანუ იურისტებად არ ვარგიან, ბოლოში მძიმემდე 0414 ებმის მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილს, და რაც შეეხება მძიმის იქით 0413-ის ნაწილია, მაგრამ რომ ითქვას „ნორმა ხარვეზიანია" აუცილებლად უნდა იყოს განმარტებითი ბარათი, რომელთანაც აცდენილია, იქნებ ის არის ხარვეზი, რომ არ დევს პირველ სვეტში საზოგადოებრივი ურთიერთობა, სანამ კანონი მოქმედებს ასე არავის აქვს უფლება თქვას, რომ კანონი არის ხარვეზიანი და ა.შ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განმარტა, რომ პირველ სვეტში ვერ იქნება, რადგან ISCED-ს ეწინააღმდეგება, თუ ეყრდნობიან დაშვებას, რომ კლასიფიკატორი ეყრდნობა ISCED-ს, ხან დავაყრდენით, ხან არა, არ გამოვა. ერთ-ერთ დაწესებულებას ამის გამო ეთქვა უარი.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათი ამოცანა არის საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა. ISCED-ში არის მარკეტინგი და რეკლამა, მერე ჩაშლილია: რეკლამა, მარკეტინგის კვლევა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა, მაგისტრის ხარისხი მიენიჭება თუ ბაკალავრის ეს უნდა თქვას ჩარჩომ, სადაც წარმოდგენილია ბიზნეს ადმინისტრირებაში 0411-დან 0414-მდე რა დასახელებები შეიძლება ჩაიწეროს კვალიფიკაციაში, შემდეგ ჩაშლილი, რომელიც 0414-ს ეხება, მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილი, რომელსაც შესაძლებელია მიენიჭოს ბაკალავრი, დეტალური სფეროს მითითებით. მნიშნელოვანია განსაზღვრავს თუ არა ზემოაღნიშნული, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის კურსდამთავრებულს მიანიჭონ ბაკალავრის ხარისხი. ეს არის ახსნა თუ როგორ უნდა ჩაწერო კვალიფიკაცია საფეხურის გათვალისწინებით. რომელიც ბაკალავრის სვეტშია, უნდა მიენიჭოს ბაკალავრის ხარისხი, რომელიც მაგისტრატურის სვეტშია მაგისტრის ხარისხი, ისმის კითხვა, თუ რომელ სვეტშია საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეს არის მაგისტრის სვეტში, ამიტომ გაჩნდა კითხვა და სრულიად ლოგიკური კითხვაა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ გამოიყენება უფრო ვიწრო ჩანაწერი, რომელიც არის ის, რაც პირდაპირ მიემართება საზოგადოებასთან ურთიერთობას, და კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას აძლევს მაგისტრატურის ნაწილში, რაც შეეხება როგორ შეიძლება აღნიშნული ჩანაწერის წაკითხვა, ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენონ სისტემური განმარტება, მან ყურადღება გაამახვილა შესაძლო კვალიფიკაციების ჩამონათვალის სხვა ვერსიებზე, სადაც მითითებულია მხოლოდ კონკრეტული სწავლის სფეროები და მათი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები, იმ დანარჩენ მიმართულებებსა და კოდებს, არსად, იშვიათი გამონაკლისების გარდა მსგავსი ჩანაწერი არ არის. ჩარჩო ძირითადად არეგულირებს ზოგადი წესებით. მაგრამ გამონაკლისად 0414 დეტალურ სფეროს უთითებს პირდაპირ საზოგადოებასთან ურთიერთობას, ანუ გადაყავს 0414.2.1-ის მიმართულებაზე. 0414 საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილში მძიმის იქით 0414 აღარ მუშაობს, შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელების ფორმულირებები, მძიმეში დარჩა ორგანიზაციის განვითარება - 0413.2.1.7. ამიტომ პროგრამის ფარგლებში 0414-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილი აინტერესებთ, ანუ მძიმემდე, სისტემურად სხვანაირად ვერ განიმარტება. დაწესებულებას მოქმედი კანონმდებლობა არ დაურღვევია, მანამ, სანამ სახელი კანონმდებლობაში არ დაერქმევა. ექსპერტებსაც სწორედ ეს განმარტება მისცეს. თუ შემდგომი ცვლილება ამის უფლებას აღარ მისცემთ, შინაარსობრივ ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ იყო მსგავსი კოლიზია, როდესაც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯერ დაეზუსტებინათ კლასიფიკატორი და შემდეგ განეხილათ. დაინტერესდა ხომ არ იყო მსგავსი შემთხვევა, რომ ჯერ დააზუსტონ კლასიფიკატორი და შემდეგ, როდესაც დაზუსტდება/შევა შესწორება.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, განმარტა, რომ საკითხი, რომელიც საჭიროებდა დაზუსტებას არ იყო გაწერილი კლასიფიკატორში და არც გამონაკლის შემთხვევებში არ იყო, ამიტომ იქნა ის გადაწყვეტილება მიღებული, ამ შემთხვევაში კლასიფიკატორი პირდაპირ ამბობს 0414 დეტალური სწავლის სფეროს მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლის სფეროს მითითებით შეუძლია მიანიჭოს ბაკალავრი.
სხდომის თავმჯდომარისთვის გასაგებია, რომ დეტალურ სფეროს ეხება.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დასძინა, რომ ეხებოდა დეტალური სფეროს სწავლის სფეროს.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩანაწერი არის დამაბნეველი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა განმარტა, რომ ეს დაშვება მხოლოდ 0414-ის დეტალური სფეროს სწავლის სფეროს ეხება.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზედა ნაწილში წერია 0411-0414, რომელშიც შედის 0412 და 0413-ც.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ახლა აქვთ მეორე კოლიზია, ეს ჩანაწერი ზედმეტია და გასასწორებელია.
სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, თუ საერთაშორისო მასშტაბით ანიჭებენ და ბუნებრივია მიანიჭებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხს, ეგრევე მაგისტრი რა მიმართულების სპეციალისტი შეიძლება შევიდეს და გამოვიდეს PR მენეჯერი.
საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის, განცხადებით თუ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილში მოიხსნება ჩანაწერი დეტალურის მეორე სვეტი მხოლოდ მაგისტრატურაა დარეგულირდება ყველაფერი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, განმარტა რომ ზემოაღნიშნული ჩანაწერი ვერ მოიხსნება, ქვევით არის ჩანაწერი და ეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლის სფეროს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაინტერესდა თუ რა უშლის ხელს, რომ მიაწეროს განათლების ადმინისტრირება.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, განმარტა, რომ განათლების ადმინისტრირება არ არის 0414-ის დეტალურ სფეროში შემავალი.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეუცვლელი არაფერი არ არის. ცენტრის ინიციატივით შეიქმნა, ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპიც ეს არის მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება ცოდნის მიღება, საქართველოშიც შეიქმნა ეროვნულ კვალიფიკაციათა განვითარების საბჭო, რომლის წევრიც თვითონ არის, მსგავსი საკითხების განხილვა, მხედველობაში მიღება და დაზუსტება შესაძლებელია, მთავარია ამან არ დააზარალოს სტუდენტი, დაწესებულება და ექსპერტი. მას არგუმენტაციას უმყარებს ჩანაწერი, რომ 0411-დან 0414-მდე ზუსტდება თუ როგორ უნდა ჩაიწეროს კვალიფიკაციები, ქვემოთ არის დაზუსტებული თუ რა უნდა მიენიჭოს 0414-ს და იქვე დაზუსტებული სხვა ხარისხები როგორ უნდა მიენიჭოს.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ შესაძლებელია ცენტრისთვის ეთხოვათ განმარტება, ვინაიდან თვითონ ცენტრი მუშაობდა კლასიფიკატორზე და როგორც ცენტრი განმარტავს ეს იქნება ამოსავალი.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, განაცხადა, რომ რაზეც ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი საუბრობდა აბსოლუტურად სწორად ახსნა ის პრინციპი თუ როგორ უნდა მოხდეს ამის გაგება, ამის მეტი განმარტება არ არსებობს, არის დაზუსტება. მან განმარტა, რომ არ არის დარგის სპეციალისტი და ამიტომ სიღრმეში ვერ შევა. როდესაც ცენტრში მივიდა დაიწყეს კონსულტაციები სახელოვნებო მიმართულებით, იქაც ეროვნული კონტექსტიდან გამომდინარე, მუშაობენ ამ და სხვა საკითხებზე, რაც იქნება დასაზუსტებელი, თუმცა ამის მიღმა რაც არის ჩანაწერი, ინსტიტუციას ვერ დააზარალებენ, თუ

რაიმეს ლოგიკა არ მოსწონთ შესაძლებელია შემდეგი დღიდანვე დაიწყონ ერთად მუშაობა, ცენტრი ღიაა ამ კომუნიკაციისთვის. თუმცა ამ შემთხვევაში ჩანაწერი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც უნდა მიყვნენ.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაინტერესდა დეტალური სფეროს მუხლი 2 პუნქტი 1-ლისთან დაკავშირებით, არის 2 ნორმის კოლიზია, რა ხდება ამ შემთხვევაში.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა, რომ იქ დაზუსტება დეტალური სფეროს მუხლზე მაღლა დგას.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაინტერესდა თუ რატომ დგას ის ჩანაწერი დეტალურ სფეროზე მაღლა, თანაც ჩანაწერი, რომელიც შეიცავს ხარვეზს.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, განაცხადა, რომ შედიან შინაარსობრივ ნაწილში, ვინაიდან თვითონ არ არის დარგის სპეციალისტი არ მიაჩნია სწორად დარგის შინაარსში შესვლა.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასეც რომ იყოს ჩანაწერი, როგორც ახლა არის დაწესებულების აზრი არ არის საფუძველს მოკლებული.
საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი, დაინტერესდა გაიარა თუ არა დაწესებულებამ კონსულტაცია ცენტრთან.
სხდომის თავმჯდომარემ შეახსენა, რომ ეს კითხვა უკვე დაისვა და დაწესებულებამ დაადასტურა კონსულტაციების გავლა.
საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის, განცხადებით, ინსტიტუციას კანონიერი ნდობის პრინციპიც აქვს, თუ ცენტრმა უთხრა, რომ მიენიჭებინა, მიანიჭეს
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება პასუხებს იღებს იმ ფორმით, რა ფორმითაც სვამენ კითხვებს, ყველანაირ პლატფორმაზე თანამშრომლობაზე მოდის ცენტრი, მაგრამ პასუხისმგებლობა ენიჭება დაწესებულებას, ცენტრთან კონსულტაცია გაიარეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება თვითონ მიიღეს.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განმარტა, რომ როდესაც საკითხი სადავოა დაწესებულებამ კონსულტაცია უნდა გაიაროს ცენტრთან და იმის მიხედვით გადაწყვიტონ.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ საკითხზე უკვე იყო მსჯელობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გვიანიშვილმა, განაცხადა, რომ ნამდვილად ისე იკითხება, როგორც იკითხება, მან ჩაატარა პატარა გამოკითხვა ადამიანებთან, რომლებიც ახლოსაც კი არ არიან განათლების სფეროსთან 10-დან რვამ წაიკითხა ისე, რომ ეს არის დაზუსტება, სხვა შემთხვევაში აზრს კარგავს. თუ შეიცვლება ჩანაწერი და გახდება უფრო მკაფიო დაწესებულება იქნება ვალდებული, რომ მოიყვანოს იმ ჩანაწერთან შესაბამისობაში, რომელიც იარსებებს.
სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ფაქტი ისაა, რომ სტუდენტებს აინტერესებთ და სწავლობენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ გვიანიშვილის განმარტებით, იმის გამო რომ ვიღაცამ ტექნიკური შეცდომა დაუშვა, არ უნდა დაზარალდნენ სტუდენტები.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ არის ძალიან ბევრი ფაქტორი, რომელიც აკრედიტაციის საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:45
დასრულების დრო: 00:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 2.3, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები (მენეჯმენტის საფუძვლები, კომუნიკაციის მენეჯმენტი, PR და ბიზნესი, PR და რეკლამა, მარკეტინგის საფუძვლები და სხვა) და აღმოიფხვრას გადაფარვები;
3. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს შემდეგი საკითხების სწავლება: მედიის, როგორც PR-ის ინსტრუმენტი, პროპაგანდისტული ნარატივი, სოციალური მედიის ინსტრუმენტები, მულტიმედია და სხვა. (მარკეტინგის მიმართულებით საკითხები დასამატებელია)
4. აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად;
5. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო გაზიარებული პროგრამის მიზნებისთვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე;
6. უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნებს დაემატოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის და ზოგადად, კვლევების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა;
2. სწავლის შედეგებზე შეუფერხებლად გასვლისთვის, სასურველია, რიგ შემთხვევებში განახლდეს და გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოების ნუსხა.

2. სასურველია, პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს შეასწავლის სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, აკადემიურ წიგნიერებას, აკადემიური წერის ელემენტებს და სხვ.;
3. სასურველია, ინგლისური ენის სწავლების გაღრმავება და არა არჩევითად, არამედ სავალდებულოდ შესწავლა;
4. სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებლების ჩამონათვალი;
5. სასურველია, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და დაემატოს რეცენზირება;
6. სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება;
7. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად და მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს;
8. სასურველია, რომ საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ასევე უცხოეთის უსდების ჩართულობით მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას;
9. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება გამოკითხვის მიზნებისა და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით.

00:40 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო იმნაძე.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

6. მეექვსე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N255; 2011.11.04
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფსიქოლოგია 0313
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ), თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გაიზარდოს სამი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“, „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“;
2. რეკომენდებულია სამი კურსი „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში;
3. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს კვლევითი ნაშრომის კურსი ან საბაკალავრო ნაშრომი, ან ნებისმიერი დასახელების კურსი, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ/დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევით უნარებსა და პროფესიული კომუნიკაციის (წერილობითი/ზეპირი) უნარებს;
4. (ქვემოთ და 2.2 ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიაში წარმოებული ემპირიული კვლევისა და მისი მდგენელების (პროცესის, ეთიკისა და ცალკეული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების) შესახებ, ისე კურსის ფარგლებში განხილული მეთოდების გამოყენების ბაზისურ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
5. კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული;
6. (ქვემოთ და 2.2 ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „პიროვნების ფსიქოლოგია“ მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეიძინოს სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები;
7. (2.2 ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსისა და სწავლის შედეგებისა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეძლოს სამეცნიერო/აკადემიური წერის ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამისათვის რეკომენდებულია აღნიშნული კურსის მოდიფიცირება ან ორ დამოუკიდებელ კურსად („აკადემიური წერა“ ცალკე და „ფუნქციური წერა“) ჩამოყალიბება, რომელთაგან პირველი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა, ხოლო მეორე -- არჩევითი სტატუსით დარჩება პროგრამაში;
8. (2.2 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინების პირობებში) კურსის შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ შესაბამისობაში იყოს დარგში არსებულ თანამედროვე ცოდნასთან, მიღწევებთან და ემპირიული კვლევების შედეგებთან;
9. გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და საჭიროების შემთხვევაში (ა) ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით 5 ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით; (ბ) სტუდენტებს სავალდებულო საკითხავად მიეცეს ოპტიმალური საკითხავი მასალა, რომელიც რეალურად მისცემს მათ იმ ბაზისურ ცოდნას, რომელიც შემდგომი ცოდნის დაგროვების/შექმნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის არის საჭირო; (გ) დაზუსტდეს და ჩასწორდეს სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგია;
10. პროგრამის კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებით გამდიდრება, იქნება ეს არსებული კურსების მოცულობის გაზრდა თუ ახალი კურსების დამატება (იხ. 2.2 და 2.3 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები);

11. კვლევითი ნაშრომის კურსის, საბაკალავრო ნაშრომის, ან მსგავსი კურსის დამატება პროგრამის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტების ჩამონათვალში, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ თეორიულ ცოდნას, კვლევის, საქმიანობისა და წერილობითი ნაშრომის შექმნის ბაზისურ უნარ-ჩვევებს და დაადასტურებს სტუდენტის კომპეტენტურობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით (იხ. 2.2 და 2.3 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები);
12. გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
13. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
14. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს.
ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდნენ დარგობრივი ექსპერტები, ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა, თავი შეიკავა დარგობრივ კითხვებზე პასუხის გაცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საბჭომ მიიღო გადაწვეტილება, რომ ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდნენ დარგობრივი ექსპერტები, დამსწრე ექსპერტი კი ვერ გასცემდა კითხვებს დაგობრივ კითხვებს, დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო აკრედიტაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 13 იანვრის 01:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ